გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 5
(11 359)

18 – 20 იანვარი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



„ბასკო“ გალაღდა

30 იანვარს „მაკაბი“ ისრაელში მიემგზავრება, ამიტომ გორელებთან მატჩი 20-ში გადმოიტანეს

კალათბურთის მოყვარულებმა და თვით სპეციალისტებმაც კი სენსაციად მიიჩნიეს ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის და ეროვნული ნაკრების ყოფილი ბურჯის თბილისის „ვითას“ კალათბურთელთა ზედიზედ მეორე მარცხი მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში. ამჯერად მარცხი მათ სტუმრად რუსთავის „აზოტისგან“ იწვნიეს 76:91. ცხადია, საკუთარ კედლებს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ამ მარცხს თვით ვითელებმაც შეუწყვეს ხელი და ამაში უპირველესად სათამაშო დისციპლინის გარდა, არასახარბიელო ფიზიკურ მომზადებას და სათადარიგოთა ნაკლებობას ვგულისხმობთ. ეტყობა „ვითა“ მომავალ ტურში არმიელებთან შეხვედრაში დაიბრუნებს საკუთარი ძალების რწმენას.

„ვითასგან“ განსხვავებით, ზედიზედ იზეიმა გამარჯვება „მაკაბიმ“, რომლის მეტოქე იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. სოხუმელები აუტსაიდერები არიან. არც არავინ მოელოდა, რომ ისინი ამჯერად მაინც გადალახავდნენ რუბიკონს და პირველ გამარჯვებას მიაღწევდნენ. „მაკაბის“ ლაღი თამაშის შესაძლებლობა მიეცა და მეტოქე 33 ქულის სხვაობით დაჯაბნა 96:63. კვირას „მაკაბი“ ისრაელში მიემგზავრება ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად და, გუნდის თხოვნით, 30 იანვრის მატჩი გორის უნივერსიტეტთან, 20-ში გადმოიტანეს, 22-ში კი „მაკაბი“ „აზოტს“ ეთამაშება.

ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც გათამაშების ცხრილში ლიდერთა შორისაა, გორელთა გუნდს შეხვდა და უჩვეულოდ გამანადგურებელი ანგარიშით სძლია 104:53. აღსანიშნავია, რომ სტუ-ს ექვსმა მოთამაშემ 10 და მეტი ბურთი ჩააგდო მეტოქის კალათში (ლოსაბერიძე — 17, ოთიურიძე — 14, ტულუში — 13, ჩუბინიძე — 12, თორთლაძე და ორმოცაძე — 10-10).

რაკი ჩაგდებული ბურთები გახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ ამ ტურში და, საერთოდაც, სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია დინამოელმა გიორგი ნიკოლაძემ, რომელმაც ასკ-თან მატჩში 42 ქულა დაიმსახურა. არმიელებმა დინამოელებს დროდადრო ღირსეული მეტოქეობა კი გაუწიეს, მაგრამ ასკ საბოლოოდ მაინც დამარცხდა 87:95.

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები, რაც თსუ-ს სძლია — 126:91. ბათუმელთა გუნდი ნამდვილად გალაღდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მისი „მომრევი“ გუნდი საქართველოში კარგა ხანს აღარ გამოჩნდება.

მიმომხილველი

ქართული რაგბის სიმაღლე ანუ გაბუტვა რაინდებსაც სცოდნიათ...

სპორტის სათამაშო სახეობებიდან, საერთაშორისო სარბიელზე მეტნაკლებად თავგამოჩენის შესაძლებლობა მხოლოდ მორაგბეებს რომ გააჩნიათ, არაერთხელ თქმულა. ამ იმედს გულშემატკივრებს ჩვენი „ბორჯღალოსნების“ ვაჟკაცობა და შემართება უნერგავს. მორაგბეები, შეიძლება თამამად ითქვას, სხვებზე ცუდ დღეში არიან (ბაზაც არ გააჩნიათ), მაგრამ ცოტას ან სულაც არ წუწუნებენ და თავიანთ პრობლემებს თავადვე აგვარებენ, ცხადია, როგორც შეუძლიათ. ალბათ იშვიათია ქვეყანა და სპორტის სახეობა, რომლის ეროვნული ნაკრების 90 პროცენტი ლეგიონერია. კარგია ეს თუ ცუდი? ნაკრების ნებისმიერი მწვრთნელი ალბათ იტყვის, რომ სჯობს პირიქით, ძირითადი ბირთვი იყოს ძლიერი, ეროვნული ჩემპიონატი მაღალი დონისა და ლეგიონერები ნამდვილი ვარსკვლავები. ამ ფუფუნებას კი ჩვენები მოკლებულნი არიან. თუნდაც უბაზობა ავიღოთ. ეროვნული ნაკრები სრულფასოვან შეკრებას არა შინ, არამედ მხოლოდ საფრანგეთის ქალაქ გრან დე მოტის სარაგბო კომპლექსში ატარებს ტრადიციულად. ჩვენი ლეგიონერები ძი-

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

„არა ძმაო, ამ კაცს ნაღდად ქალები თუ დაღუპავენ...

ცუღლუტ ბლატერს ლეგენდარული ამერიკელი მსახიობის ორეული ჰოლივუდში, სტუდია *„Paramout“*-ის სტუდიაში გამართულ მიღებაზე მოუვიდა თვალში“.

დაჯილდოება

საქართველოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, სააქციო საზოგადოება „აგრომრეწვბანკის“ მცხეთის ფილიალის მმართველი ***თამაზ მარტოლეკი*** საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში საბანკო-საფინანსო სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში, საბანკო დარგის სპეციალისტთა მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

დღეს სპორტის დეპარტამენტში დიდი თავყრილობაა

დღეს, 18 იანვარს, 15 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, საქართველოს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების, სპორტული ფედერაციებისა და ჟურნალისტების შეხვედრა.

ჩვენი დინამოელები თანამეგობრობის თასს ამჯერად მხოლოდ თვალს თუ შეავლებენ...

ფეხბურთში თანამეგობრობის თასის ტრადიციული გათამაშების მონაწილემ, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ შარშან არა მხოლოდ თავის ქომაგებს, ტურნირის ორგანიზატორებსაც გაუმტყუნა იმედები. თბილისის „დინამოს“ ავტორიტეტი მუდამ ამ შეჯიბრებისადმი ინტერესის ამაღლებაზე იყო გათვლილი და აი, ამ ჩვენმა ფავორიტმა გუნდმა უცებ ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და ყაზახეთის ულიმლამო საფეხბურთო სამყაროს რჩეულთა შორის ამოჰყო თავი – **D** ჯგუფში გადაბარგდა და ახლა იმისთვის უნდა იბრძოლოს, რომ უძლიერესთა შორის კვლავ დაიბრუნოს ადგილი, რათა გაისად ისევ თასისთვის ბრძოლის შესაძლებლობა მიეცეს. იმ თასისთვის, რომელსაც ოთხჯერ უკვე ფლობდა მოსკოვის „სპარტაკი“ და სამჯერ კიევის „დინამო“.

წლევანდელი გათამაშება ამ კვირის მიწურულს დაიწყება და თვის ბოლომდე გასტანს. **A** და **B** ჯგუფის 8 უძლიერესი თასისთვის და ფულადი ჯილდოსთვის (35 ათასი აშშ დოლარი) იბრძოლებს. ფინალისტი 15 ათასს მიიღებს. თბილისის „დინამომ“ თავის ჯგუფში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს, რათა კვლავ დაუბრუნდეს უმაღლეს ლიგას, საიდანაც ახლა უკვე მე-7-8 ადგილზე გასული გუნდები გადაინაცვლებენ დაბალ ლიგაში. **D** ჯგუფზე უკვე ვთქვით, **C** ჯგუფიდანაც ერთი რჩეული წაიწევს წინ. ამ ჯგუფში გამოდიან „დუსტლიკი“ (ტაშკენტი, უზბეკეთი), „ნისა“ (აშხაბადი, თურქმენეთი), „ლევადია“ (მარადუ, ესტონეთი) და უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები.

ტაისონი უკვე ბრიტანეთშია

მაიკ ტაისონის 29 იანვრის ორთაბრძოლას დიდ ბრიტანეთში ჯულიოს ფრანცისის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, ჩაშლა აღარ ემუქრება. ტაისონი უკვე დიდ ბრიტანეთშია და ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ტაისონის მიმართ გამონაკლისი დაუშვა, კანონიდან გადაუხვია და ცნობილ მოკრივეს დიდ ბრიტანეთში შესვლის ნება დართო. ადრინდელი უარი გამოწვეული იყო იმით, რომ ბრიტანული კანონებით თუ პიროვნება 12 დღელამეზე მეტი იჯდა ციხეში, ქვეყანაში არ დაიშვება. ტაისონის „სროკები“ და თავგადასავლები კი ყველას მოეხსენება. ბოლოს გამონაკლისი იმის გამო დაუშვეს, რომ ცნობილი მოკრივე კონკრეტული მიზნით და განსაზღვრული ვადით ჩადიოდა ბრიტანეთში. თუმცა, ყველაფერი ადვილად როდი დასრულდა. ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებას შფოთით შეხვდა ბრიტანელ ქალთა საზოგადოება და ამან ერთგვარი დაძაბულობაც შექმნა, რაც უკვე აეროპორტში ტაისონის ჩასვლისთანავე შეიგრძნობოდა.

35 წლის ფრანცისი იქადნის, რომ ტაისონს შინ გალახულს გაისტუმრებს, თავად ტაისონს კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ლენოქს ლუისის მსგავსად მოიპოვოს სამივე ვერსიის ქამარი და ამ მატჩიდან 10 მილიონზე მეტი დოლარიც მიიღოს. ფრანცისისთვის განკუთვნილია მხოლოდ 560 ათასი დოლარი.



როგორც ვეა იგონებს, ფეხბურთი რომ არა, მისი ბავშვობა მართლაც საშინელი იქნებოდა.

5

ორიენტირი — «სიდნეი-2000»

ნირშეცვლილია ჩვენში „სპორტის დედოფალი“

ბაგრატ მექვაბიშვილი

მძლეოსნობა სპორტის ის სახეობაა, რომელმაც ქიდაობის შემდეგ ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი მოუტანა საქართველოს. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, სპორტის ამ სახეობაში, ყველა ოლიმპიადაზე, ყველაზე მეტ ქვეყანას გამოჰყავს თავისი რჩეულები და, ამდენად, თითოეული მედალი უმძაფრესი კონკურენციის შედეგად მოიპოვება. ჩვენში ოდინდელი სპორტული ტრადიციები თანდათან ფერმკრთალდება და არც მძლეოსნობაა გამონაკლისი.

გვეყოლება ოლიმპიელი, თუ მოახლოებული თამაშები სიდნეიში პირველი იქნება, სადაც ჩვენი ქვეყანა ვერ გამოიყვანს მძლეოსანს? თუ ასე მოხდა, საერთოდ, ერთადერთნი ვიქნებით თამაშებში მონაწილე 2000 ქვეყნიდან, „სპორტის დედოფალი“ თავის რჩეულს რომ ვერ წარმოადგენს ამ დიდ ფორუმზე. აქვე ვიტყვით: რუსეთისა და უკრაინის გარდა, დსთ-ს ქვეყნებიდან უკვე 150 ათლეტს აქვს სიდნეის ლიცენზია მოპოვებული. მათ შორის არიან ჩვენი მეზობელი სომხები და აზერბაიჯანელები. რუსეთი 120-ით, უკრაინა კი 80 მძლეოსნით იქნება წარმოდგენილი.

ვესაუბრებით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის წამყვან სპეციალისტს ***ბაგრატ მექვაბიშვილს.***

• როცა მძლეოსნობაში მომავალი ოლიმპიური თამაშების კანდიდატებზე ვლაპარაკობთ, უპირველესად, ალბათ, სპრინტერები თამარ შანიძე და რუსლან რუსიძე, შუბის ტყორცნაში მაკა ობოლაშვილი და ბირთვის კვრაში ელმირა ურუსოვა უნდა მო-

იხ. მე-2 გვ.

ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი –2.0300 ლარი.

პიერ დე კუბერტენი დასვენების საათებში ველოსიპედით სეირნობდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული რაგბის სიმაღლე

(პირველი გვერდიდან)

რითადად საფრანგეთში თამაშობენ და მათი ავტორიტეტიცაა, რომ ზემოხსენებული კომპლექსი ასე გაიშინაურა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა.

საშინაო სარაგბო ცხოვრების რიტმი ბოლო წლებში, მიუხედავად საერთო საქვეყნო სიდუხჭირისა და სპორტისადმი ყურადღების განელებისა, მაინც გამოკვეთილად შთამბეჭდავი გამოდგა. საერთო ფონით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო 5-7 წლეულში რაგბის გეოგრაფია საქართველოში გაფართოვდა, რაც უდავოდ მისასალმებელია, პირველ ყოვლისა კი დასაფასებელნი არიან ის ადამიანები, ვინც ურთულეს პირობებში მიზნის მისაღწევად იღწვოდნენ და იღწვიან. მთავარი პრობლემა, თბილისშიც და რეგიონებშიც, როგორც ითქვა, სათამაშო მოედნებია, თორემ სპორტის ეს სახეობა ძალზე პოპულარულია მოზარდებში, რაზედაც მეტყველებს უამრავი შეჯიბრებები მათი მონაწილეობით და, რაც ყველაზე მთავარია, შეიქმნა ჭაბუკთა სამი ლიგა.

უდავოდ მისაბაძია, რომ რაგბის მოედანი უკვე მოაწყვეს ფოთში, პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერი კეთდება სენაკში, ზესტაფონში და ჩოხატაურში, თბილისშიც მიუბრუნდნენ ადრე მშენებარე საბავშვო მოედნებს, არის ძირითადი კომპლექსის გაშენების რამდენიმე სავარაუდო გათვლები.

აი, ასეთ ფონზე წარიმართა გასულ კვირაში საქართველოს რაგბის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. ისე, სიმართლე რომ ითქვას, დღეს თუ ვინმემ შეიძლება საერთოდ რაიმეთი მოიწონოს თავი ეს ამ ფედერაციაზეც ითქმის და მიღწეული მუდამ თავკაცთან გაიგივდება ხოლმე. სრულებითაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ და მისმა თანამოაზრეებმა მართლაც გააკეთეს რაღაც ხელშესახები ქართული რაგბის საკეთილდღეოდ.

ყრილობა, როგორც ითქვა, საარჩევნოც იყო. თანამოაზრეთა გუნდმა კვლავ წამოაყენა გეგიძის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე და უარი არც თავად უთქვამს შეთავაზებაზე. ლოკომოტიველებმა ყრილობას ალტერნატიული კანდიდატურა შესთავაზეს — თამაზ ანდღულაძე, მაგრამ ინიციატორებმა უხერხულობაში ჩაიგდეს თავი. თამაზმა უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობაზე. ოპოზიცია ეტყობა დათმობას არ აპირებდა და თემურ ბენდიაშვილმა ზურაბ ჩაჩანიძის კანდიდატურა წამოაყენა. ყრილობამ არ დაუჭირა მხარი ჩაჩანიძის კენჭისყრაში მონაწილეობას. ბენდიაშვილის განაწყენებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა და მან ყრილობა დატოვა. ერთხანს ამ გადაწყვეტილებამდე თვით ბიძინა გეგიძეც მივიდა, მაგრამ ყრილობაზე იგი ბოლომდე დარჩა.

საერთოდ, უნდა ითქვას იმ სენის შესახებ, რაც ჩვენს ზოგიერთ ფედერაციას სჭირს — ისინი მოუმზადებლად ხვდებიან ასეთ ღონისძიებებს, პირდაპირ ყრილობაზე მიდის იმაზე ბჭობა, რაც ადრე უნდა გარკვეულიყო, ზოგიერთები ხეირიანად თავისივე წესდებას არ იცნობენ და აბსურდულ წინადადებებს წამოაყენებენ ხოლმე. დასანანია, რომ მორაგბეთა თავყრილობაზეც იჩინა თავი გაუგებრობებმა, რისი აცილება დროულად ნამდვილად შეიძლებოდა. საქმისთვისაც ასე აჯობებდა.

ახლადარჩეული პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე როგორც ჩანს, მეტი ხალისით და ენერგიით შეუდგება საქმეს და ეჭვიც არ არის, რომ ნდობას გაამართლებს. მას დაკონკრეტებული აქვს თავისი სამოღვაწეო პროგრამა, სადაც პრიორიტეტი ენიჭება სარაგბო მოედნების მშენებლობას მთელ საქართველოში, ბავშვთა და მოზარდთა შორის რაგბის პოპულარობის ამაღლებას და ამ საქმეში ფედერაციის ბავშვთა და მოზარდთა კომიტეტის პროექტის სრულ მხარდაჭერას, კლუბების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და მთელ ქვეყანაში რაგბის პროპაგანდას.

ცხადია, მთავარი საზრუნავი იქნება ეროვნული ნაკრები, რომელსაც ფრანგი სპეციალისტი კლოდ სორელი უდგას სათავეში. გურამ მოდებაძე, რომელიც სორელმა შეცვალა ნაკრებში სასელექციო საქმეს მიხედავს, ამასთან ფრანგს ქართველი ასისტენტებიც ამოუდგებიან მხარში.

სორელს სჯერაც, რომ ქართველ მორაგბეთა ნაკრებს მაღალი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია. „ასე რომ არ იყოს, და პერსპექტივას ვერ ვხედავდე, მთავარ მწვრთნელობას არ ვიმუშავებდი", — აცხადებს კლოდ სორელი.

ც. ბაჩრაძე

ეს ფოტო „ლელოს" არქივიდანაა. საქართველოს ჩემპიონატში „შევარდენი" (აგრარული უნივერსიტეტი) ხვდება „რაშს" (ვეტინსტიტუტი). შეტევაზეა ირაკლი დვალი („შევარდენი").

ნირშეცვლილია ჩვენში „სპორტის დედოფალი"

(პირველი გვერდიდან)

ვიკითხოთ. სად არიან, ისინი, რა პერსპექტივა აქვთ?

ბაგრატ მექვაბიშვილი: ურუსოვა მოსკოვშია, დანარჩენები შინ არიან და შეძლებისდაგვარად, იმ პირობებში ვარჯიშობენ, რაზედაც ოლიმპიელისთვის შესაფერის ვერ იტყვი.

● ***სალიცენზიო ნორმატივი, რამდენადაც ვიცით, ჯერ არავის შეუსრულებია...***

— დიახ, სამწუხაროდ ასეა.

● ***ბოლომდე ასე იქნება, თუ რაიმე სასიკეთოდ შეიცვლება?***

— ვნახოთ, იააფის სალიცენზიო შეჯიბრებები ჯერ კიდევ საკმაო დარჩა. მაგრამ მიზანმიმართული მზადების გარეშე, როგორ გინდა მოიპოვო თამაშების საგზური.

● ***გასაგებია, რასაც გულისხმობთ, ნუთუ მთლად გადაიწურა შეკრებებისა და შეჯიბრებების დაფინანსების იმედი?***

— ჯერჯერობით ასეა. შარშან ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივნის მაია აზარაშვილის აქტიურობით იააფ-მა დაგვიფინანსა რამდენიმე შეკრება და შეჯიბრება. წლეულს ამის იმედიც აღარ გვაქვს, რადგან ჩვენდამი ესოდენ კეთილად განწყობილი იააფ-ის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო, როგორც იცით, ამ რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა.

● ***დიახ, ძალიან სამწუხაროა, არადა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე მას ხშირად მოიხსენიებდა, როგორც „მამა-მარჩენალს". ვთქვათ, გამოჩნდა დაფინანსება რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?***

— ბატონი თამაზ მდინარაძე ხშირად ამბობს, დაფინანსება და სრული ხელშეწყობა თუ იქნება ალბათ ოთხ ლიცენზიას მოვიპოვებთო, ისე ორის იმედი მაინც უნდა გვქონდეს.

● ***ვის გულისხმობთ?***

— ოთხეული ის არის, ვინც თქვენ ზემოთ ახსენეთ. ორიდან კი ყველაზე ახლოს მიზანთან ურუსოვაა. მეორე კი — იმ სამიდან ერთ-ერთი იგულისხმება.

ურუსოვა ატლანტაშიც გამოდიოდა. ჩვენი სახელით, მაგრამ ის ხომ მოსკოვში ცხოვრობს და იქნებ რუსეთის ნაკრებში მოხვდეს...

აი, თუ ვერ მოხვდება, ჩვენი სახელით იასპარეზებს, ის თბილისში დაბადებული და აღზრდილია. საქართველოს მოქალაქეობა შენარჩუნებული აქვს.

● ***ატლანტაში ურუსოვა მე-16 იყო. უკეთესი შედეგი ალბათ არც ახლა ექნება. ღირს კი?***

— თუ განწირულები ვართ და სხვა არავინ გამოჩნდა, ღირს. ნამდვილად ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ თამაშებში საქართველოს მძლეოსანთა მემკვიდრეობითობა შევინარჩუნოთ, და 200 ქვეყნიდან ერთადერთი ხელმოცარული არ აღმოჩნდეთ. ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე-16 ადგილი და, საერთოდ ოცეულში მოხვედრა, სპორტის იმ სახეობაში, სადაც ყველაზე მეტი ქვეყნის ოლიმპიელი მონაწილეობს, ურიგო არ არის.

● ***ურუსოვა ახლოსაა სალიცენზიო ნორმატივთან?***

— ძალიან ახლოს, ნორმატივი 17 მ. და 35 სმ-ია, ელმირას პირადი საუკეთესო შედეგია 19,01, ატლანტაში ბირთვი 17,73 სმ-ზე ჰკრა. ასე რომ, შეიძლება ატლანტის შედეგი გააუმჯობესოს კიდეც.

დანარჩენები? მაკა ობოლაშვილს 54,5 მ-ზე აქვს შუბი ნატყორცნი, სალიცენზიო ნორმატივი 57 მ-ია. ვაჟებში 100 მ. რბენაში ნორმატივია 10,40, რუსლან რუსიძემ კი უკვე ირბინა 10,47, თამარ შანიძემ 200 მ. რბენაში აჩვენა 23,80 წ. სიდნეიში მოსახვედრად კი 23,60-ია საჭირო.

● ***ნინო ბაგაშვილი არ გვიხსენებია, თავი გაანება მძლეოსნობას?***

— ნინო მართლაც საიმედო სპორტსმენი იყო სპრინტერულ დისტანციებზე, შემდეგ იგი გათხოვდა და ინტენსიურად ველარ ვარჯიშობდა, დაუქვეითდა შედეგები.

● ***საერთოდ, თუ ვეტერანებს არ ჩავთვლით, მზადდება კიდევ ჩვენში მძლეოსნები?***

— სპორტსკოლები და სექციები მუშაობენ, მაგრამ რა შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ სიდუხჭირეში, მანეჟებში ხომ აუტანელი სიცივეა. მე ერთ რამეს გეტყვით და დასკვნა თავად გამოიტანეთ: ორი წელიწადია არ ჩატარებულა საქართველოს ჩემპიონატი, არც წლეულს იგეგმება...

ესაუბრა თ. თომაშვილი



მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი

FIFA CLUB WORLD CHAMPIONSHIP 2000
BRAZIL
© FIFA 1999

მატჩი III ადგილისათვის

რეალი — ნეკაქსა 1-1, პენ. 3-4

„რეალი": ბიძარი, სანჩისი, იერო (ივან კამპო, 52), ხავიერ დორადო, მაკმანამანი, ივან ელგერა, ქერემი, კარანკა, რაული (ეტო,ო, 67), სავიო (ოგნიენოვიჩი, 52), მორიენტესი.

„ნეკაქსა": პინედა, ალმაგერი, ლოპესი (ამბრისი, 46), იგარედა, ვინია (ოლივა, 84), კაბრერა, მილიანი, პერესი, აგინაგა, დელგადო, მონტესინოსი (ვასკესი, 46).

გოლები: რაული, 15 (1-0), დელგადო, 58 (1-1).

ფინალი

კორინთიანსი — ვასკო და გამა 0-0, პენ. 4-3

„კორინთიანსი": დიდა, ინდიო, ადილსონი, ფაბიო ლუსიანო, კლებერი, ვამპეტა (ჟილმარი, 92), რინკონი, მარსელინიო კარიოკა, რიკარდინიო (ედუ, 60), ედილსონი (ფერნანდო ბაიანო, 113), ლუიზაო.

„ვასკო და გამა": ელტონი, პაულო მირანდა, ოდვანი, მაურო გალვაო, ჟილბერტო, ამარლი, ფელიპე (ალექს ოლივეირა, 102), ჟუნინიო (ვიოლა, 96), რამონი (დონიზეტი, 111), ედმუნდო, რომარიო.

ფეხბურთის ცოდნა, მისი წესების ცოდნაცაა

250 და კიდევ რამდენიმე პასუხი ფეხბურთის წესებზე

პასუხები შეკითხვებზე შეიმუშავეს ფეხბურთის სპეციალისტებმა — სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიდან. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კითხვა-პასუხი დაეხმარება არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრებს, არამედ სპეციალისტებს, მსაჯებს, მწვრთნელებს, საფეხბურთო მოედნების ხელმძღვანელებს და თვით ფეხბურთელებს.

67. თამაშის შესვენების დროს ერთ-ერთ გუნდში მოხდა მოთამაშეთა შეცვლა სათადარიგოთი. აუცილებელია თუ არა მოახსენო ამ შეცვლის შესახებ მსაჯს?

— დიახ. ამ შეცვლის შესახებ მსაჯს უნდა აცნობოს გუნდის კაპიტანმა ან მწვრთნელმა მეორე ტაიმის დაწყებამდე.

68. როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი, თუ გაძევებული მოთამაშე შემოვა მოედანზე და ჩაიდენს დანაშაულს, რომელიც ისჯება საჯარიმოთი ან 11-მეტრიანი დარტყმით?

— მსაჯი აჩერებს თამაშს, აძევებს მოთამაშეს მოედნიდან და ნიშნავს სადავო ბურთს იმ ადგილიდან, სადაც შემოსულმა მოთამაშემ დაარღვია თამაშის წესი ან ჩაერია თამაშში, ან იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი, თუ სხვა დარღვევას არ ჰქონდა ადგილი.

69. თუ მოთამაშე ფლობდა რა ბურთს, უნებლიეთ გადაკვეთს მოედნის შემოსაზღვრელ ხაზს, ჩაითვლება თუ არა მოედნის დატოვება მსაჯის ნებართვის გარეშე?

— არ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთი მოქმედება ფასდება როგორც სათამაშო ეპიზოდის ნაწილი.

70. როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი, თუ მოთამაშე, რომელსაც ცვლიან არ გადის მოედნიდან?

— მსაჯი არ უნდა ჩაერთოს ამ კონფლიქტში, ვინაიდან ეს არის გუნდის კაპიტნის ან ერთ-ერთი წარმომადგენლის საქმე.

71. რა უფლებები აქვს გუნდის კაპიტანს?

— გუნდის კაპიტანი პასუხს აგებს მოთამაშეთა ყოფაქცევაზე, სხვა განსაკუთრებული უფლებები მას არ გააჩნია.

72. რომელი მოთამაშეების მიმართ შეუძლია გამოიყენოს მსაჯმა ტექნიკური ხასიათის სასჯელი — საჯარიმო, თავისუფალი, 11 — მეტრიანი დარტყმა?

— ასეთი სანქციების გამოყენება მსაჯს შეუძლია მხოლოდ იმ მოთამაშეთა მიმართ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ თამაშში. ე.ი. სასტარტო შემადგენლობის მოთამაშეების (ოქმში შეტანილი პირველი თერთმეტი), ან სათადარიგო მოთამაშეების მიმართ, რომლებიც შემოვიდნენ შეცვლაზე.

73. რა ზომის სასჯელი შეუძლია გამოუტანოს მსაჯმა მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებიან სათადარიგოთა სკამზე?

— სათადარიგოთა სკამზე მყოფ მოთამაშეთა მიმართ მსაჯს შეუძლია გამოიტანოს მხოლოდ სადისციპლინო სასჯელი (გაფრთხილება, გაძევება), თუ ამ სასჯელის გამო თამაში შეჩერებულია, თამაში განახლდება სადავო ბურთის გდებით იმ ადგილიდან, სადაც თამაში შეჩერდა.

74. მოთამაშე ხულიგნური საქციელის გამო გაძევებულია მოედნიდან თამაშის დაწყებამდე. გუნდი იწყებს თამაშს ათი კაცის შემადგენლობით, რამდენიმე წუთში გვერდითი ხაზიდან გამოჩნდა სათადარიგო მოთამაშე და თხოვს თამაშის უფლებას. მსაჯის გადაწყვეტილება?

— მისცეს მოედანზე შემოსვლის უფლება თამაშის შეუჩერებლად.

(გაგრძელება დასაწყისი იხ. „ლელო" №1-4)

(გაგრძელება იქნება)



ისტორიული ფოტო
საოჯახო ალბომიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდი ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში. მარცხნიდან: ნ. ვაჩნაძე, ი. გაბაშვილი, თ. მოსეშვილი, ნ. ჯაფარიძე, ზ. ბენაშვილი, ე. გელაშვილი, თ. უჩანალაძე, ე. ლევენბერგვილი, ელენენ, კ. ნასოროვა, ნ. ბინაძე, ქ. უჩანალაძე.

ევროპული ჩემპიონატები

ინგლისი • XXII ტური

არსენალი — სანდერლენდი 4-1
გოლები: ანრი, 3 (1-0), შუკერი, 27 (2-0), შუკერი, 32 (3-0), ქუინი, 46 (3-1), ანრი, 81 (4-1).

ჩელსი — ლესტერი 1-1
გოლები: ტაგერტი, 41 (0-1), უაიზი, 85 (1-1).

ქოვენთრი — უიმბლდონი 2-0
გოლები: მაკალისტერი, 56-პენ. კინი, 74.

მიდლსბრო — დერბი 1-4
გოლები: ქრისტი, 8 (0-1), ბარტონი, 47 (0-2), ქრისტი, 59 (0-3), კემპბელი, 71 (1-3), ბარლი, 90 (1-4).

ევერტონი — ტოტენჰემი 2-2
გოლები: კემპბელი, 22 (1-0), არმსტრონგი, 24 (1-1), ჯინოლა, 28 (1-2), მური, 90 (2-2).

შეფილდი — ბრედფორდი 2-0
გოლები: ალექსანდერსონი, 52. ო'ბრაიენი, 67-საკ. კარში.

უოტფორდი — ლივერპული 2-3
გოლები: ბერგერი, 10 (0-1), ტომპსონი, 41 (0-2), ჯონსონი, 44 (1-2), ჰელგასონი, 46 (2-2), შმიცერი, 71 (2-3).

ვესტ ჰემი — ასტონ ვილა 1-1
გოლები: ტეილორი, 24 (0-1), დი კანიო, 78 (1-1).

ნიუკასლი — საუთჰემპტონი 5-0
გოლები: ფერგიუსონი, 3, ფერგიუსონი, 4, სოლანო, 17, დრაიდენი, 32-საკ. კარში, დაბიძასი, 83.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლიდსი	21	14	2	5	35-24	44
მანჩესტერი	19	13	4	2	50-25	43
არსენალი	22	13	4	5	41-22	43
ლივერპული	22	12	4	6	34-20	40
სანდერლენდი	22	11	5	6	36-29	38
ჩელსი	22	10	6	6	31-22	36
ტოტენჰემი	22	10	5	7	34-26	35
ლესტერი	22	9	4	9	31-31	31
ევერტონი	22	7	9	6	37-32	30
ასტონ ვილა	22	8	6	8	22-23	30
ვესტ ჰემი	21	7	8	6	25-24	29
ქოვენთრი	21	7	7	7	30-24	28
ნიუკასლი	22	7	6	9	39-37	27
მიდლსბრო	20	8	3	9	24-30	27
უიმბლდონი	22	5	10	7	32-37	25
დერბი	22	6	4	12	23-33	22
საუთჰემპტონი	21	5	5	11	24-37	20
ბრედფორდი	22	4	6	12	16-33	18
უოტფორდი	22	4	2	16	19-47	14
შეფილდი	21	3	4	14	19-46	13

ბომბარდირები: ფილიპსი („სანდერლენდი“) — 18; შირერი („ნიუკასლი“) — 14; კოული („მანჩესტერი“) — 13; ბრიჯისი („ლიდსი“), იორკი („მანჩესტერი“) — 11.

საფრანგეთი • XXII ტური

ოსერი — ლიონი 2-0
გოლები: კაპუ ობუ, 26. მარლე, 68.

მონაკო — რენი 3-1
გოლები: ტრეზეგე, 9 (1-0), ტრეზეგე, 17 (2-0), სიმონე, 42 (3-0), ლე რუ, 51 (3-1).

ჰავრი — სენტ ეტიენი 1-0
გოლი: ბუზელინი, 69.

სედანი — ლანსი 0-0.

სტრასბური — მეცი 1-1
გოლები: საა, 78 (0-1), ზიტელი, 83 (1-1).

ნანსი — ტრუა 3-0
გოლები: სიბირსკი, 22-პენ. სიბირსკი, 46 და როშა, 59.

ნანსი — ბასტია 1-0
გოლი: ლეკლუსი, 25.

ოლიმპიკი — მონპელიე 0-0

ბორდო — პსჟ 1-1
გოლები: კრისტიანი, 13 (0-1). ლასლანდი, 44 (1-1).

მონაკო	22	15	3	4	48-19	48
პსჟ	22	11	5	6	33-25	38
ოსერი	22	11	5	6	28-23	38
ლიონი	22	11	5	6	27-22	38
სედანი	21	9	5	7	30-30	32
ბორდო	22	8	7	7	33-32	31
სენტ-ეტიენი	22	8	5	9	32-32	29
ნანსი	22	8	5	9	28-29	29
რენი	22	8	5	9	29-30	29
ოლიმპიკი	22	6	10	6	27-25	28
მეცი	22	5	12	5	25-23	27
ბასტია	22	6	9	7	25-24	27
ნანტი	22	8	3	11	25-27	27
ტრუა	21	8	2	11	23-35	26
სტრასბური	21	6	6	9	21-30	24
ლანსი	22	6	6	10	18-27	24
ჰავრი	21	6	5	10	20-31	23
მონპელიე	22	4	6	12	23-32	18

ბომბარდირები: ანდერსონი („ლიონი“), სიმონე („მონაკო“), — 15; ტრეზეგე („მონაკო“) — 14; ალექსი („სენტ-ეტიენი“) — 12; ვილტორი („ბორდო“) — 11.

ესპანეთი • XX ტური

რაიო ვალეკანო — ატლეტიკო 1-1
გოლები: აგილერა, 27 (0-1), ლორენსი, 31-პენ. (1-1).

სოსიედადი — სევილია 1-1
გოლები: კევედო, 27 (0-1), ხოსე გერერო, 90 (1-1).

სელტა — ოვიედო 5-3
გოლები: ტურდო, 1 (1-0), მოსტოვოი, 15 (0-2), ტურდო, 27 (3-0), დელი ვალდესი, 36 (3-1), ბანგო, 37 (3-2), რევივო, 38 (4-2), ტურდო, 46 (5-2), დელი ვალდესი, 70 (5-3).

ვალიადოლიდი — ნუმანსია 2-0
გოლები: ფაბრი, 55. ვიქტორ ფერნანდესი, 76.

რასინგი — ვალენსია 1-1
გოლები: მენდიეტა, 34-პენ. (0-1); სალვა, 90-პენ. (1-1).

ესპანიოლი — მალაგა 0-2
გოლები: დარიო სილვა, 70, რუფეტე, 73.

ალავესი — დეპორტივო 2-1
გოლები: სალინასი, 36-პენ. (1-0), მაკაი, 50 (1-1), ხავი მორენო, 88 (2-1).

ბეტისი — ატლეტიკი 2-1
გოლები: იტო, 3 (1-0), ლარასაბალი, 63-პენ. (1-1), იტო, 76 (2-1).

სარაგოსა — ბარსელონა 0-0.

დეპორტივო	20	11	4	5	34-24	37
სარაგოსა	20	9	8	3	36-20	35
ბარსელონა	20	10	4	6	41-27	34
სელტა	20	10	2	8	30-27	32
რაიო ვალეკანო	20	9	3	8	29-28	30
ატლეტიკი	20	7	8	5	30-30	29
ალავესი	20	8	5	7	24-24	29
ვალენსია	20	7	6	7	27-22	27
მალაგა	20	7	6	7	33-31	27
ნუმანსია	20	7	6	7	28-33	27
მალიორკა	19	7	5	7	25-24	26
ბეტისი	19	8	2	9	19-30	26
ატლეტიკო	20	7	3	10	32-34	24
ვალიადოლიდი	19	6	6	7	18-23	24
რასინგი	20	5	8	7	32-31	23
რეალი	17	5	8	4	29-29	23
ესპანიოლი	20	6	5	9	29-31	23
ოვიედო	20	5	6	9	21-34	21
სოსიედადი	20	4	8	8	21-25	20
სევილია	20	3	8	9	22-33	17

ბომბარდირები: სალვა ბალესტა („რასინგი“) — 21; მილოშევიჩი („სარაგოსა“) — 18; ჰასელბანკი („ატლეტიკო“) — 17; კატანია („მალაგა“) — 15.

იტალია • XVII ტური

ბოლონია — ბარი 1-0
გოლი: სინიორი, 88.

ვენეცია — ფიორენტინა 2-1
გოლები: ვოლპი, 13 (1-0), ბატისტუტა, 45 (1-1), მანიერო, 90 (2-1).

ინტერი — კალიარი 2-1
გოლები: შიმიჩი, 3 (1-0), ოლივეირა, 17 (1-1), მორიერო, 82 (2-1).

ლეჩე — პარმა 0-0

პიაჩენცა — ტორინო 0-2
გოლები: ფერანტე, 83, პეკია, 89.

რეჯინა — ლაციო 0-0

რომა — ვერონა 3-1
გოლები: ტოტი, 2 (1-0), აპოლონი, 8-საკ. კარში (2-0), სალვეტი, 20 (2-1), ტოტი, 42 (3-1).

იუვენტუსი — პერუჯა 3-0
გოლები: დელ პიერო, 27-პენ. ზიდანი, 89, კოვაჩევიჩი, 90.

უდინეზე — მილანი 1-2
გოლები: ბობანი, 41 (0-1), შევჩენკო, 60 (0-2), მუცი, 86 (1-2).

იუვენტუსი	17	10	6	1	22-8	36
ლაციო	17	10	5	2	33-16	35
რომა	17	9	5	3	34-18	32
პარმა	17	9	5	3	29-18	32
მილანი	17	8	7	2	34-22	31
ინტერი	17	9	2	6	32-15	29
ბარი	17	6	5	6	21-21	23
ბოლონია	17	6	5	6	14-16	23
ლეჩე	17	6	5	6	17-24	23
უდინეზე	17	6	4	7	25-25	22
ფიორენტინა	17	5	7	5	18-20	22
პერუჯა	17	6	2	9	16-31	20
რეჯინა	17	3	8	6	18-25	17
ტორინო	17	4	5	8	14-21	17
ვერონა	17	4	5	8	13-24	17
ვენეცია	17	4	3	10	13-23	15
პიაჩენცა	17	2	5	10	9-22	11
კალიარი	17	1	7	9	16-28	10

ბომბარდირები: კრესპო („პარმა“) — 12; შევჩენკო („მილანი“) — 11.

კალათბურთი. ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური

E ჯგუფი

ბარსელონა — თოფაში 68-65; ბენეტონი — ქალგირისი 88-75, ცსკა — ალბა 71-76.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ბარსელონა	12	11	1	916-810	23
ბენეტონი	12	8	4	915-867	20
ცსკა	12	7	5	898-868	19
ალბა	12	6	6	876-894	18
თოფაში	12	5	7	867-879	17
ქალგირისი	12	2	10	854-907	14

20 იანვარი: ალბა-ბარსელონა; თოფაში — ბენეტონი; ქალგირისი — ცსკა.

F ჯგუფი

პანათინაიკოსი — შოლე 85:50; ოლიმპია — პაოკი 69:63; რეალი — ცრვენა ზვეზდა 98:78.

პანათინაიკოსი	12	11	1	963-801	23
ოლიმპია	12	7	5	922-920	19
პაოკი	12	6	6	865-820	18
რეალი	12	6	6	883-893	18
შოლე	12	2	10	756-873	14
ცრვენა ზვეზდა	12	1	11	775-958	13

20 იანვარი: პაოკ-პანათინაიკოსი; შოლე-რეალი; ცრვენა ზვეზდა-ოლიმპია.

G ჯგუფი

ვილერბანი — კახა სან ფერნანდო 75:64; მაკაბი-პოორტეზი 65-55; ოლიმპიაკოსი — ბუდუჩნოსტი 89-61.

ვილერბანი	12	9	3	847-781	21
მაკაბი	12	8	4	905-828	20
ოლიმპიაკოსი	12	8	4	823-753	20
ბუდუჩნოსტი	12	5	7	880-902	17
კახა სან ფერნ.	12	5	7	828-830	17
პო ორტეზი	12	3	9	813-876	15

20 იანვარი: ბუდუჩნოსტი — ვილერბანი; კახა სან ფერნანდო — მაკაბი; პო ორტეზი — ოლიმპიაკოსი.

H ჯგუფი

ეფესი — ვარეზე 84:77; ფორტიტუდო — პივოვარნა 81-63; ციბონა — ულქერი 64-81.

ეფესი	12	8	4	882-834	20
ფორტიტუდო	12	7	5	878-842	19
ულქერი	12	7	5	913-902	19
ციბონა	12	6	6	885-927	18
ვარეზე	12	4	8	879-923	16
პივოვარნა	12	2	10	854-989	14

20 იანვარი: ულქერი — ეფესი; ვარეზე — ფორტიტუდო; პივოვარნა — ციბონა.

ნბა

13 იანვარი: ნიუ-ჯერსი — კლიპერსი 110-105; მინესოტა — ბოსტონი 103-85; იუტა — მაიამი 93-83; გოლდენ სტეიტი — ჰიუსტონი 100-108; საკრამენტო — სან-ანტონიო 107-103.
14 იანვარი: ტორონტო — მილუოკი 115-110; დეტროიტი — ვაშინგტონი 105-98; ინდიანა — ლეიკერსი 111-102; ჩიკაგო—ატალანტა 83-89; დენვერი — მაიამი 87-92; ფინიქსი — პორტლენდი 83-105; სიეტლი — სან-ანტონიო 91-85. ვანკუვერი — კლივლენდი 80-82, ფილადელფია — ორლანდო 102-100.
15 იანვარი: ნიუ-იორკი — შარლოტი 91-79; ნიუ!ჯერსი — ბოსტონი 96-99; ვაშინგტონი — დეტროიტი 107-112; ორლანდო-ინდიანა 89-96; ატალანტა — ფილადელფია 98-101; ჩიკაგო-ჰიუსტონი 90-93; მილუოკი-ტორონტო 112-97; მინესოტა — ლეიკერსი 91-104; დალასი — პორტლენდი 113-105; იუტა-კლიპერსი 112-75; გოლდენ სტეიტი — საკრამენტო 99-114.
16 იანვარი: ფინიქსი — დენვერი 113-100; საკრამენტო-კლივლენდი 113-102; ვანკუვერი — მაიამი 83-94.



„რაინდული საქართველოვ, აღსდექ!“

მთიელთა საბრძოლო სტილი: „ჭრობის“ („ცვეთა-ფარების“) ტექნიკა და ტაქტიკა

რა საბრძოლო დგომები და პოზიციები გააჩნია ხევსურულ ფარიკაობას?

მოკლედ განვიხილოთ ისინი.

საბრძოლო დგომის მიღებამდე (მიღების წინ) ხევსურს მარცხენა ხელით გადააქვს ფარი საბრძოლო მდგომარეობაში, შემდეგ მარჯვენა ხელით ავლებს ხმლის ტარს, ფარიანი მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით კოხტად უჭირავს ქარქაში და ეხმარებიან მარჯვენა ხელს და იმავდროულად მარჯვენა ხელი ლამაზი, სხარტი მოძრაობით ამოაძრობს ხმალს ქარქაშიდან. ეს მოძრაობა ისე ლამაზად სრულდება, რომ არაფრით ჩამოუვარდება იაპონელი სამურაის მიერ მახვილის ამოღების ცერემონიას.

ხევსურულ ფარიკაობაში არ არსებობს გამოხტომით შეტევები ანუ ნაბიჯით წინ ჩხვლეტები ისევე როგორც ეს ილეთი არ არსებობდა კლასიკურ ფარიკაობაში XVIII საუკუნემდე.

უკან მოძრაობები, ხევსურთა გაგებით — სასირცხვილოა, ამიტომ უკან ნაბიჯები ან ხტომები, ისეთი, როგორიც არსებობს კლასიკურ ფარიკაობაში, ხევსურულში არ ისწავლება. მაგრამ ბრძოლის დროს უკუსვლები (ერთი ან ორი ნაბიჯი) მაინც გამოიყენება რათა მოწინააღმდეგეს მოახლოებისას, იარაღით თავისუფალი ქმედების საშუალება მიიღონ (ვ. ელაშვილი, იგივე).

„ჭრა-ჭრილობის“ დროს თითოეული მოფარიკავე ცდილობს მიაყენოს მოწინააღმდეგეს მსუბუქი, სიცოცხლისათვის უხიფათო ჭრილობა. ამის მისაღწევად ხევსურები სპეციალური ვარჯიშებით გამოიმუშავებდნენ ხელის მტევნის მოქნევის ხელოვნებას.

ამრიგად, ჭრა-ჭრილობაში დახელოვნებულ ხევსურს ნაკლები გადასახადი ექნებოდა რჯულის კანონის მიხედვით. რადგანაც დაშვებულ ზონებში (შუბლის სამი ნაოჭის ზევით) მიყენებული მსუბუქი ჭრილობისათვის გამარჯვებული ხევსური დაზარალებულის მკურნალობას ანაზღაურებდა მხოლოდ, რასაც „ფათვალი“ ეწოდებოდა.

ხევსურთა „ჭრა-ჭრილობის“ ტაქტიკა დასწრებითი ხასიათისაა; თითოეული მებრძოლი ცდილობს პირველმა შეუტიოს მოწინააღმდეგეს. ორთაბრძოლას გააჩნია ძალიან მოძრავი ხასიათი, თუნდაც ბრძოლა მიმდინარეობდეს ციდა მოედანზე. „მებრძოლები შეუჩერებლად ცვლიან ერთ პოზიციას მეორეზე, ცდილობენ მიაყენონ და აირიდონ დარტყმები. ორთაბრძოლას ახლავს შეძახილები. თითოეული მოფარიკავე დამცინავი, გამღიზიანებელი ან შეურაცხმყოფელი გამოთქმებით მიმართავს მოწინაღმდეგეს რათა აღაგზნოს იგი“ (ვ. ელაშვილი, იგივე).

უკუქცევა, უკუ მოძრაობებია, ეწინააღმდეგება ხევსურული ორთაბრძოლის მსვლელობით მიღებულ ეთიკას და ითვლება როგორც სამარცხვინო ქმედება, ანდა სიმხდალის გამოვლენა, რომელიც არ წარმოადგენს მებრძოლი მამაკაცის ღირსებას.

ხევსურული საბრძოლო შერკინების დგომები

„ჭრა-ჭრილობის“ ბრძოლის ეთიკეტის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება იმ მებრძოლს, რომელმაც შესძლო ჭრილობის მიყენება მოწინააღმდეგისათვის, ხოლო შემდეგ მხოლოდ დაცვით ქმედებებზე გადავიდა. ორთაბრძოლა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოწინააღმდეგე იგრძნობს ძლიერ დაღლას. ბრძოლის ეთიკიდან გამომდინარე, დაჭრილმა უნდა ითხოვოს ბრძოლის შეწყვეტა.

ხევსურული ფარიკაობის დროს ორთაბრძოლა დამოუკიდებლად მიმდინარეობს და იგი ექვემდებარება რჯულის კანონებს. ეს კანონები არავითარ შუამავალს, შუა კაცს (სეკუნდანტების მსგავს) არ ითვალისწინებს. „ჭრა-ჭრილობის“ დროს, თითოეული ვინც აღმოჩნდება ორთაბრძოლის მოწმე, მოვალეა ჩაერიოს და თავიდან აიცილონ სისხლისღვრა. ჩაურევლობა სამარცხვინოდ ითვლებოდა.



„ჩემ ბეჩავ მანდილით გეხვეწებით, ნუ ჩხუბობთ“, „ე მას დასდევით პატივი“.

ხევსურთა მონათხრობებიდან და ხევსურეთის მრავალი მკვლევარი მეცნიერების მტკიცებით, ორთაბრძოლის შეჩერება შეეძლო ახლომყოფ ქალსაც. იგი დგებოდა მოწინააღმდეგეებს შორის ან ეხებოდა ხელით ერთ-ერთ მათგანს. ქალს ასევე შეეძლო შეეჩერებინა ყველაზე მრისხანე ორთაბრძოლა თუ იგი თავის მანდილს (თავმოსასხამს) ჩააგდებდა მოფარიკავეთა შორის. ამასთან, ქალი ჩვეულებრივად ევედრებოდა, რომ შეწყვეტილიყო ორთაბრძოლა და წარმოსთქვამდა მიახლოებით შემდეგ სიტყვებს: „ჩემ ბეჩავ მანდილით გეხვეწებით, ნუ ჩხუბობთ“ ანდა „ემას (მანდილს) დასდევით პატივი“ და სხვ. (ვ. ელაშვილი, იგივე).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ხევსურულ ფარიკაობას („ფარიკაობას“ და „ჭრა-ჭრილობას“) გააჩნია შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტები: ა) თავისებური საბრძოლო დგომი, რომელიც ხასიათდება მოწინააღმდეგეს მიმართ პირისპირი (ანფასური) მომრგვალებული დგომით, რომელიც საკმაოდ ამცირებს სიმაღლეში დაზიანების მიყენების სივრცეებს (არეებს); ბ) იარაღის წინ დაჭერა ორივე ხელში — ფარისა და ხმლისა ანუ მტევნების ნაცვალგებით ჭერა, რომლის საშუალებითაც იარაღის ორივე სახე — დაცვითი (ფარი) და შემტევი (ხმალი) — გადაიქცა უნიკალურ იარაღად, რომელიც საკმაოდ კარგად ასრულებს დაცვისა და შეტევის ფუნქციებს; გ) ჩხვლეტითი დარტყმების არ არსებობა; დ) ხელის მტევნით ჩეხვითი მოძრაობის ხერხი, რომელიც მსუბუქი მჭრელი დარტყმების საშუალებას იძლევა; ე) მოწინააღმდეგის ტანზე მჩხავი ჭრილობების ფართობის შეზღუდვა; ვ) გამოხტომით შეტევების არ ქონა და გარშემოვლითი გვერდით გადაადგილებების გამოყენება; ზ) უკუქცევების არ არსებობა; თ) ორივე ხელით კოორდინირებული მუშაობით — ფაქიზი კუნთური გრძნობის აღზრდა და მაკორდინერებელი მექანიზმის სრულყოფა; ი) პირისპირი (ანფასური) საბრძოლო დგომა — მთელ ტანზე თანაბარ-სიმეტრიული დატვირთვა და ამით ხევსურულ ფარიკაობის კლასიკურ ფარიკაობის გვერდით დგომისაგან განსხვავება...

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსათვის“.
(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელოს“ წინა ნომრებში

სერ ალექს ფერგიუსონი: „კიდევ ორი წელიწადიც და...“

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელი თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო მწვრთნელია და მან თავისი სენსაციური გადაწყვეტილების შესახებ პირველად „FIFA MAGAZINE“-ს აუწყა ექსკლუზიურ ინტერვიუში. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია კარგად წარმოაჩენს ალექს ფერგიუსონის ნატურულ პერსონას. ინტერვიუ ევროპაში საშობაო არდადეგებებისას, შარშან, დეკემბერში შედგა ანუ საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატამდე, სადაც ფავორიტად შერაცხულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, პირდაპირ ვთქვათ, თავი დიდად არ შეიწუხა. თუმცა ეს ინტერვიუ კონიუქტურული სულაც არ გახლავთ, თანაც სერ ალექს ფერგიუსონი შარშანდელი ტრიუმფების შემდეგ პირველად დათანხმდა ვრცელ, ინდივიდუალურ ინტერვიუზე პრესაში. მაშ ასე, „FIFA MAGAZINE“ და დიდი სკოტი მწვრთნელი.

ალექს ფერგიუსონი



დაბადების თარიღი და ადგილი.
1941 წლის 31 დეკემბერი,
გლაზგო (შოტლანდია)

ფეხბურთელის კარიერა:
1957-1960: „ქუინზ პარკი“
1960-1964: „სენტ ჯონსტონი“
1964-1967: „დანფერმლაინი“
1967-1970: „გლაზგო-რეინჯერსი“
1970-1973: „ფალკირკი“
1973: „აირი“

სამწვრთნელო კარიერა
1974: „სტირლინგი“
1974-1978: „მირენი“
1978-1986: „აბერდინი“
1986: შოტლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცი 1986 წლის ნოემბრიდან: „მანჩესტერ იუნაიტედი“.

წარმატებები სამწვრთნელო კარიერაში:
1977: შოტლანდიის ჩემპიონი
1980: შოტლანდიის ჩემპიონი
1983: ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული, შოტლანდიის თასის მფლობელი.
1984: შოტლანდიის ჩემპიონი, შოტლანდიის თასის მფლობელი.
1985: შოტლანდიის თასის მფლობელი.
1986: შოტლანდიის თასის მფლობელი, შოტლანდიის ლიგის თასის მფლობელი.
1986: სათავეში ედგა შოტლანდიის ნაკრების მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე (შოტლანდია ჯგუფური მატჩების შემდეგ გამოეთიშა ტურნირს)
1990: ასოციაციის თასის მფლობელი
1991: ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული
1992: ევროპის სუპერთასის მფლოებლი, ინგლისის ლიგის თასის მფლობელი.
1993: პრემიერლიგას ჩემპიონი
1994: პრემიერლიგის ჩემპიონი, ასოციაციის თასის მფლობელი.
1996: პრემიერლიგის ჩემპიონი, ასოციაციის თასის მფლობელი.
1997: პრემიერლიგის ჩემპიონი.
1999: ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, პრემიერლიგის ჩემპიონი, ასოციაციის თასის მფლობელი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი.
სულ: 29 ტიტული.

● ვრცელ ინტერვიუებზე თქვენ ხშირად არ თანხმდებით. რატომ?

– ყოველთვის დადგენილი წესებით ვხელმძღვანელობ და მატჩის წინ და შემდეგ მედიასთან შეხვედრა მინევს, თუმცა მეორე მხრივ თქვენ მართალი ბრძანდებით – ინდივიდუალურ ინტერვიუებს ხშირად არ ვიძლევი.

● რატომ?

– ეს მარტივად აიხსნება – უბრალოდ დრო არ მაქვს, აი, შეხედეთ ჩემს სამუშაო მაგიდას და თქვენ მიხვდებით თუ რატომ („მანჩესტერ იუნაიტედის“ ბაზაზე განლაგებულია ფერგიუსონის პატარა ოფისი, რომელიც გადატენილია ფურცლებით, კარტოთეკებით, საფეხბურთო პრესითა და ვიდეო კასეტებით – F.M.).

● ხალხის ინტერესი პირადად თქვენი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიმართ უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს. ხანდახან არ ხართ ხოლმე განცვიფრებული თქვენივე თავით, რომ ასეთი წარმატებული კარიერა გაქვთ?

– დიახ, განცვიფრებული ვარ. არავინ მოელის, რომ ამდენ წარმატებებს მიაღწევს, მაგრამ ეს მოხდა, ეს შევძელი. ვამაყობ, რომ უკვე 14 წელიწადი ვმუშაობ „მანჩესტერ იუნაიტედში“. ყოველი ტიტული, რომელიც მოვიგეთ მხოლოდ ექსტრადაუცხრომელი სურვილით მომეცა. ყოველთვის ასე ვიწყებ და ვაგრძელებ, ვცდილობ უფრო მეტად გავაუმჯობესო გუნდი. მოგებული ტიტულები თვითკმაყოფილებას არ მანიჭებს, პირიქით, სურვილს ამიღძრავს გავხდე უკეთესი და გუნდმა უფრო მიმზიდველი ფეხბურთი ითამაშოს.

● მოპოვებული 29 ტიტულით თქვენ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ხართ. რა არის თქვენი წარმატებების საიდუმლო?

– ეს მართლაც ძნელად დასაჯერებელია, რომ ამდენი ტიტულის მოგება შევძელი, მაგრამ თავდაუზოგავად ვშრომობდი ამისათვის და მჯერა, რომ თავდაუზოგავი შრომა ყოველთვის დაფასდება. ჩემი უპირატესობა კი იმაში მდგომარეობს, რომ კარგა ხნით მომიწია „მანჩესტერ იუნაიტედში“ ყოფნამ; ვიცნობ ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც კლუბთან აქვს კავშირი. აგრეთვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა გარშემომყოფი პატივს მცემს არა მხოლოდ მოპოვებული ტროფეების რაოდენობისთვის. ყველაფერი ეს საქმეს მიადვილებს. მჯერა, რომ საფეხბურთო მწვრთნელობა ჩემი ნამდვილი მოწოდებაა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 22 წლის ვიყავი ვიცოდი თუ რა მინდოდა. ჩემს სამუშაოში გულსა და სულს ვდებ. მიყვარს სამწვრთნელო მოედნიდან დროებით განშორებაც, ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის დახმარების გაწევა მათი წინსვლისთვის და ის რომ, გუნდისთვის ჩემი სათამაშო სტილი დოგმაა.

● რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ მწვრთნელს?

– თვითდისციპლინა, უნდა ერკვეოდეს ხალხში, ფლექსიბელურობა. მე არ ვარ არაფლექსიბელური მწვრთნელი, მე, ასე ვთქვათ, ღია ვარ ბევრი რამეებისთვის. მაგრამ ყოველთვის ჩემს გზას ვადგევარ მას შემდეგ, რაც ვირწმუნე, რომ საქმეს სწორად ვაკეთებ. როცა პრესაში ვეცნობი თუ როგორ აქებენ სპეციალისტები სხვა სათამაშო სისტემებს, მაშინაც არ ვუხვევ ჩემი კურსიდან, ჩემი წარმატებებით ვრწმუნდები ჩემს სისწორეში. ძალიან ბევრ გულშემატკივარს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოსწონს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაში, არა მხოლოდ წარმატებების გამო, არამედ თვალსასეირო ფეხბურთისათვის. ეს არის ის, რაც სიამოვნებას მანიჭებს.

● წინა სეზონმა დიდი წარმატებების მთელი სერია მოუტანა თქვენს გუნდს: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გაიმარჯვა პრემიერლიგაში, ასოციაციის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში. რამ განაპირობა გუნდის ასეთი დომინანტურობა?

– მთავარი ფაქტორი ჩვენი გუნდის სული იყო, შეგრძნება იმის, რომ თითოეული ფეხბურთელის სული და გული გუნდს ეკუთვნოდა, გასაოცარი იყო; ყოველი ფეხბურთელი იბრძოდა სხვა ფეხბურთელისთვის, ყოველ ფეხბურთელს მოძებნილი ჰქონდა თავისი ადგილი კოლექტივში. ასეთ რამეს აქეთ არავინ გაჩუქებს, თანაც ჩვენნაირ გუნდში, რომელიც სავსეა სახელგანთქმული ინდივიდუალებით. გვყავს დიდი ფეხბურთელები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა დიდი გუნდი, ბალანსირებული.

● კვლავ ხომ არ გესიზმრებათ ისტორიული გამარჯვება მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, როცა 0-1 აგებდით და ბოლო წუთებზე მოახერხეთ ორი გოლის გატანა?

– ფეხბურთში ისეთი რამეებიც ხდება, რისი აღქმა და გაგება არავის ძალუძს. იმ მატჩშიც „ბაიერნის“ წინაალმდეგ ერთ-ერთი ასეთი რამ მოხდა, რასაც ვერასდროს ვერ ჩავწვდები. განა შეუძლია ვინმეს მითხრას თუ რატომ მოვიგეთ ის მატჩი, მაინც რა მოხდა ბოლო წუთებში იმ შეხვედრაში ბარსელონაში. მე მხოლოდ შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო ბედისწერა, რამაც გამარჯვება მოგვიტანა. ფეხბურთის ღმერთები უბრალოდ ჩვენს მხარეს იყვნენ.

● იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიო საკლუბო ჩემპიორნატში იასპარეზებს. თუ ამ ტურნირშიც გაიმარჯვებთ ხომ არ აპირებთ გადადგომას? თქვენ მოსაგები უკვე არაფერი დაგრჩებათ.

– არა, არ წავალ. მე უკვე დადგენილი მაქვს წასვლის თარიღი – კიდევ ორი წელიწადიც და განზე გავდგები. ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი.

● რას გეგმავთ გადადგომის შემდეგ?

– ალბათ კვლავ ფეხბურთში დავრჩები, სავარაუდოდ ვიქნები მრჩეველი ან რაიმე სხვა ფუნქციას შევასრულებ „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“, შესაძლოა უეფაშიც ვითანამშრომლო, მაგრამ მწვრთნელობას, რა თქმა უნდა, შევეშვები: მთლიანობაში, მწვრთნელობა ძალიან რთული საქმეა და ახლა გარე ფაქტებიც მნიშვნელოვანი გახდა: მოთამაშეთა აგენტები, კონტაქტი მედიასთან, მოთამაშეთა კონტრაქტები, ზეწოლა მიზნის მისაღწევად. ჩემთვის სწორი იქნება თუ გავჩერდები მაშინ, როცა 60 წელი შემისრულდება, 20 წელიწადზე მეტია, რაც მწვრთნელი ვარ და ახლა ეს საკმარისია. ჯერ კიდევ მსურს დავტკბე სიცოცხლით.

● და როგორ აპირებთ დატკბეთ ცხოვრებით, როცა მწვრთნელობიდან გადადგებით?

– ვგეგმავ მოგზაურობას და უცხოენების გაუმჯობესებას. ვფლობ ფრანგულსა და გერმანულს. აგრეთვე მსურს გავაუმჯობესო ფორტეპიანოზე დაკვრაც. ისევ მანჩესტერში ვიცხოვრებ, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლო, შოტლანდია კვლავინდებურად მიყვარს. მანჩესტერში ცხოვრობს ჩემი ოჯახი – სამი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი, რომელთათვისაც უფრო მეტი დრო მექნება.

დათო თევართქილაძის [illegible]

● თანამედროვე საფეხბურთო მწვრთნელებს დიდ დროს არ აძლევენ. იშვიათად თუ ხდება, რომ მწვრთნელს საშუალება მიეცეს ნელ-ნელა ააშენოს გუნდი – ზეწოლა წარმატების მიღწევისთვის არის უზარმაზარი და ფინანსური ასპექტიც მნიშვნელოვანია.

– ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა და ცუდია ფეხბურთის განვითარებისათვის. ბევრ მწვრთნელს ხსნიან და ამის ლოგიკა არ მესმის, თანაც მწვრთნელებს კონტრაქტის ვადის დამთავრებამდე ათავისუფლებენ. ასეთ ქმედებას მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მოაქვს წარმატება. ბევრ წარმატებულ მწვრთნელებს კი კლუბთან ხანგრძლივი მუშაობით მართლა ღირებული საქმე გაუკეთებია. მაგალითისთვის ავილოთ „ოსერის“ (საფრანგეთი) მწვრთნელი გი რუ, რომელიც 30 წელზე მეტია მუშაობს გუნდში და მისი თანამშრომლობა ამ კლუბთან უნიკალურია, ბრწყინვალეა. გი რუს ხელშეწყობით ბევრი ახალბედა ფეხბურთელი ვარსკვლავად ჩამოყალიბდა, ხოლო პროვინციულ კლუბმა დიდ წარმატებებს მიაღწია.

● თქვენ 1986 წელს ჩაუდექით სათავეში „მანჩესჩტერ იუნაიტედს“ და მხოლოდ 1990 წელს მიაღწიეთ პირველ წარმატებას.

– დიახ, კლუბის ხელმძღვანელობას ჯეროდა ჩემი და მოთმინების უნარიც გააჩნდა, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. წარმატებები უცბად არ მოდის, დღეს კი მწვრთნელებს იშვიათად თუ უწევთ მშვიდ ატმოსფეროში მუშაობა.

● გყავდათ როდისმე მწვრთნელი შეფასებული ისეთად, რომელიც მწვრთნელის მოდელის როლს ანსახიერებდა?

– ყოველთვის მინდოდა საკუთარი გზით მევლო და საკუთარი იდეები განმეხორციელებინა. წარსულში მოხიბლული ვიყავი სკოტ სიმონით (წვრთნიდა „გლაზგო რეინჯერსს“) და ჯოკ სტეინით (წვრთნიდა შოტლანდიის ნაკრებს). დღესდღეობით კი გამოვჰყოფდით ისეთ მწვრთნელებს, როგორებიც არიან გი რუ, ფაბიო კაპელო, ლუის ვან გაალი, ჯოვანი ტრაპატონი, მარჩელო ლიპი და ოტმარ ჰიტცფელდი. მათ მხოლოდ წარმატებებს კი არა, აგრეთვე ხასიათისა და პრინციპების გამო გამოვყოფ.

● როგორ გესახებათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მომავალი თქვენი გადადგომის შემდეგ? შესძლებს მსოფლიოში უმდიდრესი კლუბი წინსვლას – გახდეს უფრო მდიდარი და კიდევ მეტი წარმატებები მოიპოვოს?

– დიახ, კლუბს შეუძლია გახდეს უფრო ძლევამოსილი, ყოველ შემთხვევაში ალმასვლის დასასრულს ვერ ვხედავ... კლუბის სტრუქტურა ისეთი ძლიერია და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ისეთი პოპულარულია, რომ მას შეუძლია ტრიუმფების გზა გააგრძელებს ჩემი გადადგომის შემდეგაც...

● საერთოდ ფეხბურთის მომავალს როგორ უყურებთ?

– ფეხბურთი გზაჯვარედინზე დგას და ეს ძალიან რთული პოზიციაა. ამაზე პასუხისმგებელია ბოსმანის წესი, ეს ყველაზე დიდი დარტყმაა სპორტისთვის, რაც კი მას ოდესმე განუცდია. ტრანსფერების თანხები ძალიან მაღალია, აგრეთვე ჰონორარებიც, უზარმაზარი ფული ტრიალებს სატელევიზიო უფლებებში – ეს იმას გავს, რომ ფეხბურთში შესაძლოა ბევრი რამ კონტროლიდან გამოვიდეს.

● ხედავთ ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებებს?

– ყველამ უნდა დაიწყოს ამაზე ზრუნვა – ეს არის ერთადერთი გზა. ფეხბურთელებმაც უნდა შეიტანონ ამაში წვლილი და გახდნენ უფრო კეთილგონიერნი, მაგრამ ყველაზე უფრო ქვეყნების მთავრობები უნდა ჩაერთონ ამ პრობლემების გადაჭრაში, რათა კონტროლს დაუქვემდებარონ ის ფაქტორები, რომლებიც ბოსმანის წესმა მოიტანა ფეხბურთში.

1999 წლის 26 მაისი...

არა ძმაო, ამ კაცს ნაღდად ქალები თუ დაღუპავენ. დიახ, სწორედ რომ ასეა საქმე და თქვენ სრულებითაც არ ცდებით – ფიფას ონავარი პრეზიდენტი ზეპ ბლატერი თვით მერილინ მონროს ესიყვარულება, მკერდს ქვევით გაბედულად შეუცურებია ხელი და თვალებმინაბულ დედაკაცს სათუთ ღიმილი შეუგებებია მისთვის. ცუღლუტ ბლატერს ლეგენდარული ამერიკელი მსახიობის ორეული ჰოლივუდში, სტუდია „Paramount“-ის სტუდიაში გამართულ მიღებაზე მოუვიდა თვალში. ისე კი, ნაღდ მერილინ მონროსაც ჰქონია თურმე ინციდენტი საფეხბურთო სამყაროსთან. 1959 წელს გადაღებულ ფოტოზე თქვენ მართლაც ერთ დროს ამერიკის სექს-სიმბოლოს ხედავთ – მერილინ მონრომ თავისი ფიტქინა ფეხები ლამაზად შემართა, რათა პირველი სიმბოლური დარტყმა, ანუ ეგრეთ წოდებული Kick-off შეესრულებინა ნიუ-იორკის სტადიონ „Yankee“-ზე ჩატარებული ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩში.

ჯორჯ ვეა – აფრიკელი „ელჩი“

გივი გამრეკელი. გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“



ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ელჩებად დიპლომატიისაგან საკმაოდ დაშორებული, მაგრამ ფრიად ცნობილი ადამიანების დანიშვნა ახალი ამბავი არ არის. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ბოლო წლების პრაქტიკიდან. ლუქსემბურგში რუსეთის ელჩის ფუნქციებს ასრულებდა ცნობილი მწერალი ჩინგიზ აიტმატოვი. საფრანგეთში სომხეთის ელჩია განთქმული შანსონიე შარლ აზნავური, რომლის მამა წარმოშობით მესხეთიდანაა. და აი, პატარა აფრიკული ქვეყანა ლიბერია (უფრო სწორად კი მთელი შავი კონტინენტი) ევროპაში თავის ელჩად თვლის ჯორჯ ვეას, ალბათ აფრიკული წარმომავლობის უძლიერეს ფეხბურთელს მთელი ისტორიის მანძილზე. მას იმდენი ნარკვევი და სპეციალური წიგნიც კი მიეძღვნა, რომ გამოჩენილი ოსტატის ცხოვრების თითოეული დეტალი კარგად არის ცნობილი. თითქოს აქ არაჩვეულებრივი არაფერია, მაგრამ, ბავშვობა, თუ გნებავთ, პელეს ბავშვობას ჰგავს, სიჭაბუკის წლები კი იმეორებს მრავალი ნიჭიერი ფეხბურთელის წარმატებული კარიერის წლებს. ბოლო სეზონების საყოველთაო აღიარება თითქმის ასლია ფეხბურთის კორიფეების მოღვაწეობის დამაგვირგვინებელი წლებისა. ერთი სიტყვით, ვეას ბიოგრაფია ჩვეულებრივია, და, წარმოიდგინეთ, ერთდროულად, არაჩვეულებრივიც. თუმცა, სჯობს თანმიმდევრულად გავიხსნოთ...

ბავშვობა

ლიბერია, ჯორჯ ოპონგ ვეას სამშობლო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1847 წლიდან არსებობს. ამიტომაც ჰქვია ლიბერია – თავისუფალი ქვეყანა. მაშინ, როცა ყველა ადგილობრივი ხალხი ამა თუ იმ ევროპული სახელმწიფოს მიერ იყო დაპყრობილი, ლიბერიელები თვითონ მართავდნენ საკუთარ ქვეყანას. სხვა საკითხია, რომ ლიბერია, დღემდე განუვითარებელი რჩება, მეტად სუსტია და ღატაკი. ამიტომ ლიბერიელები ცდილობენ სხვა აფრიკულ ქვეყნებში სამუშაოს შოვნას, ევროპულებზე რომ არაფერი ვთქვათ. აკი ყმაწვილმა ჯორჯ ვეამაც იცოდა, რომ სადღაც არსებობს ზღაპრულად მდიდარი ქვეყანა – საფრანგეთი და მის ნახვას ნატრობდა.

ჯორჯ ვეამ მძიმე ბავშვობა გადაიტანა, რაც მრავალი ფეხბურთელისათვის, ცხადია, უჩვეულო არ არის. მშობლების გაყრის შემდეგ ბიჭუნას ერთადერთი მზრუნველილა დარჩა – დიდედა ემა, რომლის ოჯახში, არც მეტი, არც ნაკლები, 13 ბავშვი დაგროვდა. დიდედა იმას კი ახერხებდა, რომ ბავშვები მშიერი არ დარჩენილიყვნენ (რა თქმა უნდა, ესეც გასაკვირია), სხვას კი ვერაფერს. ჯორჯი თავის ნებაზე იყო მიშვებული. სკოლაში კი დადიოდა, მაგრამ ისე, ხანდახან. „ათასგვარი სისულელე ჩავიდინე, მარიხუანას ვეწეოდი. მინდოდა რამდენიმე დოლარი მეშოვა, ამიტომ შაქარყინულსა და ბატი-ბუტს ვყიდდი“ (გაიხსენე, მკითხველო, რომ ყმაწვილი პელე ფეხსაცმლის წმენდით შოულობდა ორიოდე კაპიკს). სკოლას კი უფრო იმიტომ აცდენდა, რომ თვლიდა, იქ არაფერს ხეირიანს ასწავლიდნენ იმ საგანში, რომელიც მას აინტერესებდა. ეს ერთადერთი საგანი კი ფეხბურთი იყო. ფეხბურთთან ყმაწვილ ვეას ძველი, მეტად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

– ერთხელ, ღამით, ღმერთი გამომეცხადა და მითხრა, – ასე მოუყვა ჟურნალისტებს დიდედა ემა, – მიხედეთ ამ ბავშვს, იგი თქვენ ყოველგვარ ტანჯვას აგინაზღაურებთ. ფეხბურთელი გახდება და თქვენ სიბერეს შეგიმსუბუქებთ. ორი-სამი წლისა იყო, როცა ბურთს დასდევდა. ძლიერად რომ დაარტყამდა, ძალიან უხაროდა. შემდეგ, ცოტა რომ წამოიზარდა, სხვა ბავშვებთან ერთად ტრიალ ველზე ათენებდა და აღამებდა. ერთხელ ბურთი პატარა ბიჭს მოხვდა, რომელიც ჯორჯთან ერთად მორბოდა. ბიჭი წაიქცა, თავი ქვას დაარტყა და მოკვდა. ეს ხომ შეიძლება პატარა ვეასაც მოსვლოდა, მაგრამ დიდედა ემა თვლიდა, რომ მას ღმერთი მფარველობდა.

როგორც ვეა იგონებს, ფეხბურთი რომ არა, მისი ბავშვობა მართლაც საშინელი იქნებოდა. „ზოგჯერ მე ჩემი ბავშვობის შესახებ ჯორჯ უმცროსსა და მარტას (ვეას შვილებია) მოვუყვები ხოლმე. ისინი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობენ და ჩემი არ ესმით. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ როგორ შეიძლება სკოლაში მანქანამ არ მიაკითხოს ან ფეხსაცმელი არ ჰქონდეთ, ქუჩაში ფეხშიშველამ იარონ“. დიახ, ყოველივე ამას მილიონერის შვილები ვერ გაიგებენ, რახან გაჭირვება არ გამოუვლიათ. არც მამის ფანატიზმი ექნებათ და არც ის განსაკუთრებული სულისკვეთება, როგორმე „ამოტივტივდნენ“, სიძნელეებს თავი დააღწიონ.

როგორც თვით ვეა ჰყვება, 14 წლისა რომ გახდა, მისი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. მან იმ კლუბში დაიწყო თამაში, ქვეყნის ჩემპიონატში რომ მონაწილეობდა. „ჩვენ მწვრთნელი არა გვყავდა. ამიტომ ამოვირჩიეთ ახალგაზრდა, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემდით. იგი ჩვენზე ცოტათი უფროსი იყო და ამიტომაც გამოვარჩიეთ. ამ გუნდში ბევრი რამ გავიგე და შევისმინე, სხვებსაც უფრო მეტად ვცემდი პატივს“.

ამ ხანებში ვეა ჯერ კიდევ არ ფიქრობდა, რომ ოდესმე პროფესიონალი გახდებოდა. უბრალოდ, მას მოსწონდა, რომ ფეხბურთის თამაშის საშუალება ჰქონდა. იგი სიამოვნებით იგონებს იმ პირველ კლუბს „იანგ სერ ვაივორსს“, რომელიც ჯერ მეორე დივიზიონში გადავიდა, შემდეგ კი ლიბერიის პირველ დივიზიონში გადასვლამდე ბევრი არაფერი აკლდა. სწორედ ამ დროს ვეამ და მეორე თავდამსხმელმა ჯო ნაგე ბემ (შემდეგში „ნიცას“ მოთამაშემ) მიწვევა მიიღეს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბისაგან – „ილევენ ინვინსიბლისაგან“. ეს უკვე დიდ ფეხბურთთან მიახლოება იყო.

აი, რამდენიმე საინტერესო ფაქტი, რომელიც ვეას კარიერის ლიბერიულ პერიოდთან არის დაკავშირებული. თურმე ნუ იტყვით, იგი ჯერ მეკარედ თამაშობდა. ამ დროს გუნდში თავდამსხმელთა დეფიციტი შექმნილა და ვეა წინ გადაუყვანიათ. უნდა ითქვას ისიც, რომ იგი უკვე იმ დროს თავით ჩინებულად თამაშობდა. იმ სეზონში, როცა „იანგ სერ ვაივორსი“ მეორე დივიზიონში გამოდიოდა, 30 მატჩში 31 გოლი გაიტანა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო. „ილევენ ინვინსიბლში“ 1986 წელს (20 წლის ასაკში) მან 19 ბურთი გაიტანა. როგორც გამოირკვა, ეს უკვე ლიბერიის უმაღლესი დივიზიონისათვის რეკორდი ყოფილა.

ახლა ვეა იგონებს ერთ საკმაოდ მხიარულ ამბავს, თუმცა ვისთვის მხიარულს, ვისთვის არა! ლიბერიელებს აფრიკის პირველობაზე ბენინის ნაკრებთან უნდა ეთამაშათ. „ილევენ ინვინსიბლის“ პატრონ ლოურენს დოუს ბენინელებთან რაღაც თავისი პირადი ანგარიში ჰქონდა. „აი, თუ მათთან გოლს გაიტან, 1000 დოლარს მიიღებ – უთხრა მან ვეას – თითოეული გოლისთვის 1000 დოლარს“. იგი ნამდვილად არ ელოდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ერთს კი არა, სამს გაიტანდა. სიტყვა სიტყვაა – 3000 დოლარი გადაიხადა. შემდეგ კი იფიქრა, ამ კაცმა სულ არ გამაკოტროსო და სიამოვნებით დათანხმდა გაეყიდა იგი.

კამერუნი ლიბერია არ არის

1987 წლის მიწურულში ლიბერიას კამერუნის კლუბი „ტონერი“ ეწვია. ამ გუნდის ხელმძღვანელობას ურჩიეს, ყურადღება მიექცია ვეას თამაშისათვის. მართლაც ამხანაგური მატჩის შემდეგ სტუმრებმა „ილევენ ინვინსებლს“ ახალგაზრდა ფეხბურთელში 25 ათასი ფრანკი შესთავაზეს. ეს კი ლიბერიული კლუბის მოთამაშის წლიურ ხელფასს უდრიდა. ერთი სიტყვით, კამერუნის კლუბს სხვა დონე და გაქანება ჰქონდა. მან ამ მომენტში მაინც არ იცოდა, როგორ ხელსაყრელ გარიგებას მოაწერა ხელი – შეიძლება ითქვას, მუქთად იგდო ხელთ მეტისმეტად ძლიერი ფეხბურთელი.

როცა კამერუნში გადაბარგდა და გაცილებით უფრო ძლიერ კლუბებს გაეცნო, ვიდრე ლიბერიაში ჰქონდა საქმე, ვეას უკვე ევროპელ სპეციალისტებთანაც მოუხდა ურთიერთობა. ბევრ კამერუნულ გუნდს ევროპელები ამზადებდნენ, ეროვნულ ნაკრებს კი ფრანგი კლოდ ლე რუა ედგა სათავეში. „ტონერში“ კონსულტანტად მუშაობდა შავკანიანი ზაკარია ნოა, რომელსაც ფრანგი ცოლი ჰყავდა. მათი შვილი იანიკ ნოა კი წლების განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა. ზაკარია ნოას ახალგაზრდა თავდამსხმელთან ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა და მოხიბლული იყო მისი თამაშით. აი, რას წერდა ნოა რამდენიმე წლის შემდეგ: „იგი მაშინ დღევანდელზე უარესად როდი თამაშობდა. დღეს უფრო სტაბილურია და თამაში უკეთ ესმის, დანარჩენი კი იგივე დარჩა, რაც იყო „ტონერში“ გამოსვლის დროს. იმ მომენტში, როცა კამერუნელები აფრიკულ საკლუბო ფეხბურთში პირველხარისხოვანი როლების შესრულებას აპირებდნენ, ვეა შეუცვლელად ითვლებოდა. რაც შეეხება ნაკრების მწვრთნელ კლოდ ლე რუას, მას ვეა მეტისმეტად მოსწონდა: „მას ისეთი დიდი სისწრაფე და სიმარჯვე ჰქონდა, რომ ორი-სამი მცველის უკან ჩამოტოვება არაფრად ულირდა“. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც – ვეამ ცოტაოდენი ინგლისური (ლიბერიელების სახელმწიფო ენა) კი იცოდა, მაგრამ ფრანგულენოვან კამერუნში ენის უცოდინარობის გამო ძალიან წვალობდა. ამის მიუხედავად, ჩინებული თამაშის წყალობით მრავალი მეგობარი და გულშემატკივარი გამოუჩნდა. ლიბერიელ ვარსკვლავზე უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ. თუმცა კამერუნში „ფეხბურთის მეფედ“ ყოველთვის როჟე მილა ითვლებოდა, მაგრამ აქ იცოდნენ უცხოელების დაფასებაც. აქ ისიც ვთქვათ, რომ ვეამ უკვე ძალიან კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი. კამერუნი ლიბერია თუნდაც იმიტომ არ იყო, რომ აქაურ ფეხბურთელებს ევროპაში საკმაოდ ხშირად იწვევდნენ. გაუთავებლად ჩამოდიოდნენ ევროპელი „სკაუტები“ (მოხეტიალე მწვრთნელები) და ახალ ტალანტებს ეძებდნენ.

როგორც ლე რუა რამდენიმე წლის შემდეგ იგონებდა, დღე ისე არ გაივლიდა, რომ ვეა მასთან არ მისულიყო და არ ეთხოვა: „დამეხმარე! გამაგზავნე, თუ შეიძლება, ევროპაში!“

შემდეგ ლე რუა თავს იწონებდა, რომ სინამდვილეში სწორედ მან აღმოაჩინა პირველად ვეა. „ყველა მატჩში ხელახლა განმაცვიფრებდა დრიბლინგით, კარში დარტყმით, მოულოდნელი გადაცემებით. ყოველივე ამის შემდეგ ვრწმუნდებოდი, რომ იგი შეიძლებოდა მსოფლიო რანგის ვარსკვლავი გამხდარიყო. კამერუნის ნაკრების ყოველი ვარჯიშის შემდეგ სტადიონის კარებთან მიცდიდა, რათა ერთხელ კიდევ ეკითხა, დავეხმარებოდი თუ არა. მე მზად ვიყავი დახმარების ხელი გამეწოდებინა, რადგან ვხედავდი, რომ ეს მოთამაშე არტისტად იყო დაბადებული. თითოეულ ეპიზოდში ისეთ რამეს აკეთებდა, რაც მცველებისათვის მოულოდნელი რამ იყო.

როცა ეკითხებოდნენ, სხვებზე მეტს ხომ არ მუშაობდა ვეა კამერუნში საკუთარი ოსტატობის ასამაღლებლად, ნოა-უფროსს, უბრალოდ, ეცინებოდა. „ეს ყველაფერი სისულელეა. აფრიკელი კი არ მუშაობს მინდორზე, არამედ თამაშობს. შრომისუნარიანობა ვარჯიშში – ეს ხომ ევროპული ცნებაა. ჩვენთვის სპორტი სიხარულის მომტანია. ნიჭიერი ფეხბურთელი ის არის, ვინც არ გაურბის მეტოქის მოტყუებას, ვისაც სიამოვნებას გვრის მაყურებლის გაოცება. ასეთი მოთამაშე, გოლიც რომ არ გაიტანოს, უყვარს მაყურებელს. აფრიკელს იმავე ენით ვერ ელაპარაკები, როგორც გერმანელს. ძალიან კარგია, რომ ჯორჯი ევროპაში არც ისე ადრე მოხვდა. მან უკვე ძალზე ბევრი რამ შეითვისა აფრიკული სკოლისაგან, რომ ევროპელი გამხდარიყო და ამიტომაც გახდა მიბაძვის საგანი, საამაყო ახალგაზრდა აფრიკელი მოთამაშეებისათვის.

(დასასრული იქნება)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ანელკას ტრავმა სერიოზულია

ტრავმა, რომელიც ფრანგმა ფეხბურთელმა ნიკოლა ანელკამ მიიღო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში, საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. დაზიანებული მარჯვენა მუხლის მკურნალობას ანელკა, რომელმაც, როგორც იყო, თავისი ძალით დაიწყო თამაში მადრიდის „რეალის შემადგენლობაში, დაახლოებით სამ თვეს მოუნდება და კლუბს მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატის ფინიშზე დაუბრუნდება.

სიმონის აღარ მოუთმინეს

ჯიჯი (ლუიჯი) სიმონი შარშან, როგორ მოგეხსენებათ, მილანის „ინტერის“ მწვრთნელი იყო, მაგრამ მისი საქმეები ამ კლუბში ცუდად წარიმართა.

1999-2000 წლები გამოცდილმა მწვრთნელმა უკვე „პიაჩენცაში“ დაიწყო, მაგრამ ახლა ეს კლუბი „სერია A“-ში ბოლოსწინა მე-17 ადგილზეა და მისმა მესვეურებმა გადაწყვიტეს სიმონის განთავისუფლება.

ტაიბიმ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვა

იტალიელმა მეკარემ მასიმო ტაიბიმ, რომელიც ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 7,4 მილიონ დოლარად იყიდა, დატოვა ინგლისური კლუბი და სეზონის ბოლომდე „რეჯინაში“ ითამაშებს.

ტაიბი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ არ წაიყვანა იგი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

სიკვდილითაც კი ემუქრებიან

როგორც კამერუნის ნაკრების თავდამსხმელმა, ამჟამად ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“, მოთამაშე მარკვივიენ ფოემ განაცხადა, მან დაახლოებით 50 წერილი მაინც მიიღო მოკვლის მუქარით, თუკი დაუყოვნებლივ არ დაბრუნდება სამშობლოში და მზადებას არ დაიწყებს აფრიკული ქვეყნების თასისათვის.

დღე არ გავა, რომ ვიღაც უცნობმა პირებმა ფოეს არ დაურეკონ, ოჯახის ამოწყვეტით ემუქრებიან. მისი სახლის კარზე დააწერეს: „როცა შენი ქვეყანა ომობს, მწყობრში უნდა იყო“. „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ თანახმაა დაუყოვნებლივ გაგზავნოს ფეხბურთელი აფრიკაში.

ალენიჩევი გაცვალეს და... ფულიც დაამატეს

აზიის 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, იაპონელმა ხიდეტოსი ნაკატამ თანხმობა განაცხადა გადავიდეს „პერუჯიდან“ „რომაში“.

„რომა“ ამის სანაცვლოდ გადაუხდის „პერუჯას“ 16 მილიონ დოლარს. გარდა ამისა, „პერუჯაში“ გადავა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი დმიტრი ალენიჩევი, რომელიც „რომაში“ კარგა ხანს თამაშობდა, მაგრამ ვეღარ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

უნგრელი – კიევის „დინამოში“

უნგრელი მცველი ლასლო ჰოდნარი, რომელიც აქამდე „დებრეცენში“ თამაშობდა, ახალი სეზონისათვის კიევის „დინამოში“ ემზადება. ეს უკრაინის ჩემპიონის შემადგენლობაში პირველი ფეხბურთელი აღმოსავლეთ ევროპიდან, თუ არ ჩავთვლით ქართველ ლეგიონერებს.

გოგრიჭიანი ნიჟნი ნოვგოროდში რჩება

ამ დღეებში ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივს“, რომელიც მზადებას სოჭში გადის, შეუერთდა მისი წამყვანი თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი.

— შარშანდელი წლის მიწურულში დამიმთავრდა კონტრაქტი „ლოკომოტივთან“, ალა კი დავთანხმდი კიდევ ერთი წელი ვითამაშო ამ კლუბში. ბოლო ორი თვის განმავლობაში აქ სრული გაურკვევლობა იყო. ახლა უკვე მდგომარეობა გამოსწორდა, ვესაუბრე მთავარ მწვრთნელ ვალერი ოვჩინიკოვს და ახლა ვვარჯიშობ, დავეწევი დანარჩენ ფეხბურთელებს.

ბულგარელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა სტოიკო მლადენოვი, რომელიც აქამდე ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელად მუშაობდა. რაც შეეხება ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ დიმიტარ დიმიტროვს, იგი ამიერიდან სოფიის „ლევსკის“ ჩაუდგა სათავეში. ხრისტო სტოიჩკოვი ყველა ეროვნული ნაკრების დირექტორის პოსტზე რჩება.

„დიდი მუზარადისთვის“ ბრძოლა დაიწყო

გუშინ დაიწყო პირველი, წლევანდელი ოთხი საერთაშორისო ტურნირიდან, რომლებიც „დიდი მუზარადის“ ციკლს მიეკუთვნებიან — ავსტრალიის ღია პირველობა.

ასპარეზობა დიდ ინტერესს იწვევს თუნდაც იმიტომ, რომ მან წინა წლებისგან განსხვავებით, თავი მოუყარა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს ჩოგბურთელს. ქალთა შორის, ამჯერად არ თამაშობენ ვენუს უილიამსი, სელეში, უპირველეს ყოვლისა, მოსალოდნელია მარტინა ჰინგისისა და ლინდსეი დევენპორტის დიდი მეტოქეობა, ვაჟებში კი, აკლია პატრიკ რაფტერი, გრეგ რუსედსკი, მარსელო რიოსი პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად ანდრე აგასი და პიტ სამპრასი ითვლებიან.

პირველსავე დღეს დაფიქსირდა რამდენიმე მოულოდნელი შედეგი: მე-6 ნომრად განთესილმა ტ. ენკვისტმა წააგო ფრომბერგთან — 2-3, ხოლო კუჩერამ კი შრიჩალხანისთან — 1-3. ქალებში კი გერმანელი ა. ჰუბერი, რომელიც მე-15 ნომრად იყო განთესილი დამარცხდა ბოგერტისთან — 0-2.

ახლა გაგაცნობთ პირველი დღის ზოგიერთი საინტერესო შეხვედრის შედეგებს ვაჟებში: ჰენმანი — გოლმარი 3-1, ესკუდე — კურიე 3-1, მანტილი — ზაბალეტა 1-3, სიმერინკი — ვუდბრიჯი 0-3, აგასი — პუერტა 3-0, კრაიჩეკი — სანტორო 3-0, ტ. მარტინი — ბ. ბლეიქი 3-2. ქალებში: დევენპორტი-პიტკოვსკი 2-0, კაპრიატი — შვარცი 2-0, სუგიამა — მალეევა 2-0, ტოზია — ნაქოვა 2-1, პირსი — ვილდი 2-0, ალარი — კრასნორუცკაია 2-0, ვან როსტი — კლისტერსი 2-1, კურნიკოვა — ვარტუში 2-0.

დღეისათვის ოცეული ასეთია

იანვარი ჩოგბურთის სამყაროში ყოველთვის იმით არის საყურადღებო, რომ ტარდება „დიდი მუზარადის“ პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი.

დღეისათვის კი მსოფლიოს ჩოგბურთელ ქალთა უძლიერესი ოცეულის „რეიტინგ-ლისტი“ ასეთია:

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6074 ქულა. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 2841. 3. ვენუს უილიამსი (აშშ) — 4378. 4. სერენა უილიამსი (აშშ) — 3021. 5. მერი პირსი (საფრანგეთი) — 2515. 6. მონიკა სელეში (აშშ) — 2310. 7. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2213. 8. ბარბარა შეტი (ავსტრია) — 2159. 9. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 1906. 10. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1846. 11. ჟიული ალარი (საფრანგეთი) — 1838. 12. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 1700. 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1677. 14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1635. 15. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი). — 1536. 16. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1528. 17. დომინიკ ვან რუსტო (ბელგია) — 1513. 18. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 1397. 19. ემი ფრეზერი (აშშ) — 1299. 20. რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) — 1264 და ა.შ.

საერთაშორისო ტურნირი როტერდამში

როგორც როტერდამის ტრადიციული ყოველწლიური საჩოგბურთო საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ასპარეზობა 14 თებერვალს დაიწყება და ერთ კვირას გასტანს.

შეჯიბრების შემადგენლობა ძლიერია. მასში მონაწილეობას მიიღებენ ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი), თომას ენკვისტი (შვეცია), რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) და სხვა გამოჩენილი ოსტატები.

ჭადრაკის ამბები

კასპაროვ-კრამნიკის მეტოქეობა გრძელდება

შარშანდელ სუპერტურნირებში გარი კასპაროვის ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქე პირველი პრიზისათვის ბრძოლაში ვლადიმერ კრამნიკი იყო. ეტყობა, ასევე იქნება ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელიც ეს-ეს არის დაიწყო.

საქმე ის არის, რომ პირველ ტურში ერთმაც გაიმარჯვა და მეორემაც. კასპაროვს თეთრებით ეთამაშებოდა ვიქტორ კორჩნოი. გავიხსენოთ, რომ ოდესღაც სრულიად ახალგაზრდა კასპაროვმა საპრეტენდენტო მატჩში სძლია მრავალნაცად „საშინელ ვიქტორს“. ამჯერადაც შეხვედრა კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდა. კრამნიკმა მოუგო მაიკლ ადამსს (ინგლისი), იერუნ პიკეტმა (ჰოლანდია) სმბატ ლპუტიანს (სომხეთი), 4 პარტია კი ყაიმით დასრულდა.

მსოფლიო ჩემპიონის მარცხი

ბუდაპეშტში დამთავრდა ამხანაგური მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანსა (რუსეთი) და 20 წლის დიდოსტატ პეტერ ლეკოს (უნგრეთი) შორის.

განზრახული იყო 6 პარტიის თამაში, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრის გამართვა საჭირო აღარ გახდა. საქმე ის არის, რომ მატჩი ლეკოს უპირატესობით წარიმართა, მან მოიგო 2 პარტია, 3 ყაიმით დაასრულა და გაიმარჯვა ანგარიშით 3,5:1,5.

ეს მსოფლიო ჩემპიონის სერიოზული მარცხია.

ოთხი «საჰაერო» ეტაპი

მოუსვენარმა ტერორისტებმა ამჯერად პარიზი — დაკარის პრესტიჟული სუპერმარათონული რბოლა — პარიზი-დაკარი ამოიღეს მიზანში, რის გამოც, ნიგერიის გზებზე 600 კილომეტრიანზე მეტი რბოლა არ შედგება და მონაწილენი, ტერაქტის შიშით გასავლელი ტრასის ოთხ ეტაპს ჰაერში „გაივლიან“. გაირკვა, რომ ხიფათი მოსალოდნელი იყო ისლამური წარმოშობის ექსტრემისტებისაგან, რომლებმაც (300 კაციანი ჯგრო) ალჟირიდან შეაღწიეს ნიგერიაში. ეკიპაჟების თვითმფრინავით გადაყვანა ხელს არ შეუშლის რბოლის მშვიდობიანად დამთავრებასა და მრბოლები შეინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს, რომელიც ამ იძულებით პაუზამდე ეკავათ.

იუმორი



„ტოტო-ლოტო“

01 ტირაჟის შედეგები 16.1.2000

„ტოტო-ფეხბურთი“ 12 მატჩი

221 111 X11 XX2

გათამაშებაში მონაწილეობდა 2617 ვარიანტი

12 შედეგი 0 x 11931.70 გადადის შემდეგ ტირაჟში
11 შედეგი 1 x 130.80
10 შედეგი 10 x 13.00

„ტოტო-ფეხბურთი“ 11 მატჩი

001 210 021 11

გათამაშებაში მონაწილეობდა 2434 ვარიანტი

11 შედეგი 0 x 2101.40 გადადის შემდეგ ტირაჟში
10 შედეგი 0 x 101.40 გადადის შემდეგ ტირაჟში
10 შედეგი 0 x 101.40 გადადის შემდეგ ტირაჟში

ლოტო 6-42

1. 5. 23. 30. 39. 40

გათამაშებაში მონაწილეობდა 13401 ვარიანტი

6 რიცხვი 0 x 19 578.90 ლ. გადადის შემდეგ ტირაჟში
5 რიცხვი 1 x 251.20 ლ.
4 რიცხვი 13 x 25.70 ლ.
3 რიცხვი 301 x 1.90 ლ.

სუპერ 7

7 8 8 3 4 4 8

7883448 —— 50 000 ლარი
883448 —— 15 000 ლარი
83448 —— 5 000 ლარი
3448 —— 500 ლარი
448 —— 50 ლარი
48 —— 3 ლარი
8 —— 50 თეთრი

02 ტირაჟის პროგრამა 22-23 იანვარი

„ტოტო-ფეხბურთი 12“.

1.	ტოტენჰემი	შეფილდი	70-20-10
2.	ბრედფორდი	უოტფორდი	40-40-20
3.	მანჩესტერი	არსენალი	40-30-30
4.	სანდერლენდი	ლიდსი	30-40-30
5.	რომა	პიაჩენცა	70-20-10
6.	ვერონა	ინტერი	20-40-40
7.	რეჯინა	იუვენტუსი	20-40-40
8.	კალიარი	ლაციო	20-20-60
9.	მალაგა	ალავესი	40-30-30
10.	ნუმანსია	რეალი	30-30-40
11.	ბარსელონა	რასინგი	60-20-20
12.	ვალენსია	ესპანიოლი	50-30-20

„ტოტო-ფეხბურთი 11“.

1.	ინგ.	ლივერპული	მიდლსბრო	60-20-20
2.	ინგ.	ასტონ ვილა	ჩელსი	30-40-30
3.	იტ.	ტორინო	ბოლონია	30-40-30
4.	იტ.	მილანი	ლეჩე	70-20-10
5.	ესპ.	მალიორკა	რაიო ვალეკანო	50-30-20
6.	ესპ.	ატლეტიკო	სოსიედადი	40-40-20
7.	შოტ.	კილმარნოკი	სელტიკი	20-30-50
8.	შოტ.	ჰარტსი	დანდი	50-30-20
9.	ბელ.	ბეერსხოტი	ბრიუგე	30-40-30
10.	ბელ.	გენკი	გეელი	70-20-10
11.	თურ.	დენიზლი	ფენერბახჩე	30-30-40

02 ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გაატარეთ 21 იანვრის ჩათვლით.

დოპინგი

დოქტორი კიპკე სასამართლოს წინაშე წარსდგა

ცოტა კიდევ რომ დასცლოდა, გდრ-ი აშშ-სა და სსრ კავშირს ალბათ აშკარად გაუსწრებდა და უთუოდ გახდება უპირველესი ზესპორტული ქვეყანა. 80-იან წლებში უკვე ლეგენდად იქცა აღმოსავლეთ გერმანიის მიღწევები მსოფლიო სპორტულ სამყაროში. აღმოსავლეთელები არა მხოლოდ თავისივე დასავლელ მოძმე გერმანელებს, არამედ მთელ მსოფლიოს უმტკიცებდნენ თუ რა სიმაღლეებს შეუძლია მიაღწიოს სპორტმა სოციალისტურ ქვეყანაში. ბევრი რამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით მსოფლიო კომუნიზმის ფლაგმანის საბჭოთა კავშირისთვისაც გასაიდუმლოებული ჰქონდათ „დემოკრატიულ“ გერმანიაში. ხშირად ასეთ პასუხს იძლეოდნენ: „საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებს პრაქტიკულად ვახორციელებთ და შედეგებიც აქედან გვაქვს“. ცალკერძ ეს მართალი იყო, მაგრამ თვით საბჭოთა კავშირშიც იცოდნენ, რომ გერმანელები, საკუთრივ, ძალიან შორს წავიდოდნენ და სპორტსმენთა შესაძლებლობების სრულ გახსნაში ახალ შესაძლებლობებს მისცეს ფართო გასაქანი.

ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, აღმოსავლეთ გერმანიაში სპორტსმენთა მომზადების მთელი სამეცნიერო კომპლექსები და საიდუმლო ლაბორატორიები აღმოაჩინეს. განსაკუთრებით მუშაობდნენ ნიჩბოსნების, მოცურავეების, მძლეოსნების შედეგების ამაღლებაზე, სადაც ოლიმპიურ სარბიელზე ყველაზე მეტი მედალი თამაშდება. 90-იანი წლების დასაწყისიდან, უკვე გაერთიანებულ გერმანიაში დაისვა იმ მედიკოსთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც სპორტსმენებს ჯანმრთელობისთვის საზიანო პრეპარატებს აძლევდა სპორტული მედლების სანაცვლოდ. მაშინ ზოგიერთი მეცნიერი წარსდგა კიდეც სასამართლოს წინაშე, მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. ვერც დასრულდებოდა, რადგან, რაც დრო გადის, უფრო მეტად იჩენს თავს ადრე მიღებული ორგანიზმის შესაძლებლობების მასტიმულირებელი, მაგრამ ჯანმრთელობისთვის საზიანო პრეპარატების რეციდივები.

აი, ამ დღეებში ბერლინში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, სადაც ბრალდებულად წარდგენილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავე ქალთა ყოფილი ექიმი ლოთარ კიპკე. საქმე იმაშია, რომ სპორტული შედეგების ასამაღლებლად მოცურავეებისთვის ამ ექიმის მიერ მიწოდებულმა ჯანმრთელობისთვის სახიფათო პრეპარატებმა მავნე გავლენა იქონია ჩანასახზე და ზოგიერთ ყოფილ მოცურავე ქალს თანდაყოლილი დეფექტით გაუჩნდა ბავშვი.

დადგინდა, რომ ქალთა ორგანიზმში სტეროიდების შეყვანა, რაც ექიმ კიპკეს დანიშნულებით ხდებოდა, ფუნქციურ ცვლილებებს იწვევდა. ეს კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ დაფიქსირდა, როგორც სპორტსმენისათვის სხეულის დაზიანების მიყენება სტეროიდების ორგანიზმში შეყვანით. რამდენიმე ყოფილმა მოცურავემ სასამართლოს მისცა ჩვენება, რომ ექიმმა კიპკემ მას შემდეგაც კი გამოუწერა სტეროიდები სპორტსმენებს, როცა მათთვის ცნობილი გახდა, რომ დანიშნულ პრეპარატებს შეიძლება ზიანი მიეყენებინა ჯანმრთელობისთვის.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



18 იანვარი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (12.40). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15, 17.15, 0.55), ინგლისის (13.55, 21.05), ესპანეთის (15.35, 19.15, 1.35) – ჩემპიონატები და მიმოხილვა; საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (22.00). ***НТВ плюс спорт.*** ცურვა. მსოფლიო თასი (11.55, 23.05). „დიდი რინგი“ (19.00), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (22.35). ***ESPN.*** იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა 1999/2000 წ.წ. (10.00). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (12.00, 16.00, 2.30), ფეხბურთი. დაზის თასი. თურქეთიდან (22.30).

19 იანვარი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. რაგბის მოყვარულთათვის (20.00). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15), ინგლისის (15.05, 1.10), იტალიის (21.30) – ჩემპიონატები და მიმოხილვა. საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (23.25), მსოფლიო ჩემპიონატი-98. საფრანგეთი – ხორვატია (19.45). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (11.40, 22.40). ფრენბურთი. თასების მფლობელთა თასი (18.55), ფიგურული ციგურაობა. გრან-პრის ფინალი (23.10). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 8.30), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „საუტჰემპტონი“ – „ნიუკასლ იუნაიტედი“ (14.30, 20.30). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (12.00, 16.00, 2.00), ფეხბურთი. დაზის თასი, თურქეთიდან (22.30).

20 იანვარი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. ავტოსპორტი (20.00). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატი-98. ნახევარფინალები. საფრანგეთი – ხორვატია (13.15), ბრაზილია-ჰოლანდია (19.50). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.10, 1.00) „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“. იურგენ კლინსმანი (17.25). საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ჰიტ-პარადი (17.45). ***НТВ плюс cpopт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან ზეეს სუპერტურნირი (15.00). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (23.35). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა (16.30), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (17.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (13.30) 16.00, 2.30), ფეხბურთი. დაზის თასი. თურქეთიდან (22.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.30).



კროსვორდი №5

თარაზულად: 3. ლეგენდარული სამთომოთხილამურე, 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. მძლეოსნობის ინვენტარი, 9. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 11. ცნობილი რუსი ვეტერანი მოცურავე, 13. არმიის სპორტული კლუბის აბრევიატურა, 15. მექსიკელი ფეხბურთელი მ/ჩ-98 მონაწილე, 16. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 18. 70-იან წლებში მსოფლიოში სახელგანთქმული მოთხილამურე ქალი, 19. ნიჩბოსნობის ნაგებობა, 20. ფეხბურთში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ბომბარდირი, 21. ცურვის ყაიდა, 22. კრივში გვერდიდან დარტყმა მოღუნული ხელით, 25. კორეის ნაკრების ფეხბურთელი (მ/ჩ — 98), 28. საუდის არაბეთის ფეხბურთელი (მ/ჩ — 98), 30. საავტომობილო რბოლის სახეობა, 31. თამაში მაგიდაზე ბურთების და ჯოხით, 32. „ჩელსის“ მეკარე, 34. ცნობილი ქართველი აფროსანი, 34. სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელი (მ/ჩ — 98).

შვეულად: 1. მშვილდით სატყორცნი, 2. ინგლისელი ფეხბურთელი (მ/ჩ — 98), 4. იტალიის ნაკრების ფეხბურთელი (მ/ჩ — 98), 5. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 7. ფეხბურთში ბურთის ოსტატური ტარება, 10. ტანვარჯიშული ტერმინი, 12. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი, 14. ცნობილი ვეტერანი ქართველი ჩოგბურთელი, 17. გოლი რაგბიში, 18. სფფ-ს პრეზიდენტი, 23. შავკანიანი ფეხბურთელის კოულის სახელი, 24. მოძრაობა გამამხნევებელ ვარჯიშში, 26. აღმოსავლური სამაგიდო თამაში, 27. იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი (მ/ჩ — 98), 29. ქართული ცხენოსნური თამაში, 31. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი.

№4 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კოტონაპორტი, 5. ციგა, 8. ნენე, 9. მრეტები, 10. ოსლო, 12. ივერია, 14. ბლიცი, 15. ტალები, 17. ლეკო, 19. ფილია, 23. კროსინგი, 24. შანიძე, 27. კორიდა, 28. დიდი, 29. რამსეი, 32. კლასი, 35. ბუინოვი, 36. ბროლი, 37. ლოკომოტივი. **შვეულად:** 2. ტოტო, 3. ოიერა, 4. ტომბა, 6. გობეჯიშვილი, 7. შეტევა, 10. ოსტატი, 11. შაიბა, 13. ალექსანდრია, 16. სიონი, 18. კორტი, 20. ოსკარი, 21. აია, 22. ავკი, 25. ოდიში, 26. გდება, 30. სიონი, 31. რომა, 33. ლოკო, 34. სალო.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.